ლელო

№164
(12 234)

14 ივლისი შაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი
50 თეთრი

ყაზბეგი

გმადლობთ, თემურ!

ქეცბაიას დღე. გაცილება ლარნაკაში და არა თბილისში



თემურ ქეცბაია

დღეს, ლარნაკაში მადლიერი კვიპროსელები დიდი ფეხბურთიდან საზეიმოდ გააცილებენ 39 წლის **თემურ ქეცბაიას**, უკანასკნელი ოცწლეულის ერთ-ერთ საუკეთესო ქართველ ფეხბურთელს. ლარნაკაში მას ყოფილი თანაგუნდელები და თქვენ წარმოიდგინეთ, მეტოქეებიც დააფასებენ, სამშობლოდან, კვიპროსიდან, საბერძნეთიდან, ბრიტანეთიდან. საქართველოდან ქეცბაიას გამოსათხოვარ მატჩში მონაწილეობის მისალებად მისი ყოფილი თანაგუნდელები გაემგზავრნენ: **არჩილ და რეზო არველაძეები, კახა ცხადაძე, მურთაზ შელია, გიორგი ნემსაძე და გიორგი ქინქლაძე. შოთა არველაძემ** სატრანსფერო საქმეების გამო ვერ შეძლო კუნძულზე ჩასვლა.

დღეს ყველაფერი ისე იქნება როგორც საჭიროა, გარდა ერთისა - თამაში ლარნაკაშია და არა თბილისში..

- 14 ივლისი მნიშვნელოვანი დღეა ჩემს ცხოვრებაში. რაღა თქმა უნდა სიხარულთან ერთად, მღელვარებაც დამეუფლება, რადგან ფეხბურთი ჩემი ცხოვრების ნაწილია და ხვალინდელი მატჩით მოთამაშის კარიერას ვეთხოვები. ეს ჩემთვის მცირედი დანაკლისი ნამდვილად არაა. თუმცა ყველა ფეხბურთელმა კარგად იცის, რომ დადგება დრო, როცა ბუცები უნდა ჩამოკიდო...

ბედნიერი ვარ, რომ ქართველი მეგობრების გარდა, უცხოელმა ფეხბურთელებმაც დამაფასეს.. საქართველოდან, საბერძნეთიდან და ინგლისიდან დაპატიჟებულებს კვიპროსელებიც შეუერთდნენ და 50-მდე მოთამაშე შეგროვდა. თამაში ყველას მოუნევს. ყველასი მადლიერი ვარ და მინდა, ხვალინდელი საფეხბურთო ზეიმით ყველა კმაყოფილი დარჩეს. - გვითხრა გუშინ თემურ ქეცბაიამ.

დავით ცაბაძე

შოთა არველაძე

არველაძეს სამშაბათს ელიან

ესპანური პრიმერა დივიზიონის "ლევანტეში" შოთა არველაძის გადასვლასთან დაკავშირებით მოვლენები სწრაფად კი განვითარდა. თუმცა, როგორც ჩანს, ამ საკითხს მომავალ კვირამდე წერტილი არ დაესმება.

"მომავალი კვირის დასაწყისში, სამშაბათს, შოთა არველაძე ვალენსიაში ჩავა და "ლევანტესთან" კონტრაქტს გააფორმებს. 34 წლის ქართველმა ფორვარდმა სამედიცინო შემოწმება გაიარა და ვალენსიურ კლუბს კონტრაქტის პირობებზეც მოურიგდა. ასე რომ, სატრანსფერო ფორმალობის მოგვარებას მხოლოდ ხელმოწერა აკლია". - ეს ცნობა გუშინ პოპულარულმა ესპანურმა გაზეთმა AS-მა გაავრცელა.

გუშინ საღამოს კიდევ ერთხელ დავუკავშირდით შოთა არველაძეს, რომელიც ამჟამად ჰოლანდიაში იმყოფება.

"ალკმაარში" ვივარჯიშე. "ლევანტესთან" კონტრაქტის პირობები მთლიანად გარკვეული მაქვს და ამ საქმის დადებითად გადაწყვეტას "ალკმაარის" თანხმობაღა აკლია. ახლა მთავარია ჰოლანდიურმა კლუბმა გამოსასყიდის გარეშე გამიშვას. "ლევანტეს" მხოლოდ თავისუფალი აგენტის სტატუსით სურს ჩემი აყვანა. ალკმაარელებთან ორშაბათს, 16 ივლისს, საბოლოო მოლაპარაკებები გაიმართება. იმედია, ყველაფერი კარგად დასრულდება და სამშაბათს ვალენსიაში ვიქნები".

დავით ცაბაძე

მე არ ვარ გამყიდველი!

სავიოლა რეალისტია: მხოლოდ თამაშისა და შუსტერის ხათრით...

გუშინ, "რეალმა" **ხავიერ სავიოლა** წარადგინა. "ბარსელონიდან" "რეალში" გადასვლა, ან პირიქით, იშვიათი და ფრიად დელიკატური შემთხვევაა და თუ რატომ, ახლა ამის ახსნას არ დავიწყებთ. ალბათ, სავიოლაც ჩაეწერა იმ მოთამაშეთა რიგში, ვისთვისაც "კამპ ნოუს" თავის დროზე მოღალატე უწოდებია. მაგრამ "ბაჭიას" შემთხვევაში, სიტუაცია ნაკლებად მძაფრია, რადგან ის კატალონიელ გულშემატკივართა კუმირად ვერ იქცა და ალბათ, ამ ტრანსფერს როგორმე მშვიდად გადაიტანენ...

სხვათა შორის, **ბერნდ შუსტერიც**, "რეალის" ახალი მწვრთნელი, **მიკაელ ლაუდრუპისა** და **ლუიშ ფიგუს** დარად, ერთ დროს ბარსელონელი იყო და მერე "სანტიაგო ბერნაბეუს" მიაშურა. ცხადია, გუშინდელ პრეზენტაციაზე ეს კითხვაც დაისვა და სავიოლას შეახსენეს, ხომ იცი, საიდან მოხვედიო?

"ძალიან ბედნიერი ვარ, რომ დღეიდან "რეალის" ფეხბურთელი მქვია. რომ არა ბერნდ შუსტერის მონდომება და ჩემ მიმართ უდიდესი ნდობა, ალბათ, ეს ტრანსფერი არც შედგებოდა. "ბარსელონა"? მე არ ვარ გამყიდველი. კლუბებს შორის დიდი კონკურენციაა, მაგრამ პირადული მომენტები სულ სხვაა. კატალონიაში ბევრს ვუყვარდი, მაგრამ წარსული წარსულში დარჩა. აქ მოვედი იმისთვის, რომ ფეხბურთი ვითამაშო. ეს არის და ეს".

შეგახსენებთ, რომ "ბარსამ" სავიოლა 2001 წელს, "რიველ პლეიტისგან" 28 მილიონ დოლარად იყიდა. მას შემდეგ, რაც "ასულგრანას" მწვრთნელად **ფრანკ რიიკაარდი** დაინიშნა, სავიოლას საქმეები უკან-უკან წავიდა. განათხოვრებით თამაშობდა "მონაკოსა" და "სევილიაში", ბარსელონაში დაბრუნებულმა კი კონტრაქტის გაგრძელებაზე უარი თქვა და მადრიდშიც ბევრი აღარ უფიქრიათ...

სავიოლა ბერნაბეუზე

გიორგი დემეტრაძე

დემეტრაძე კიევის არსენალში გადავიდა

3

www.kazbegi.com

გაეხსენი...

ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ლეგიონერები

სეთურიძე, კანდელაკი და ბარაბაძე იენაში არიან

სეთურიძემ გუშინ პირველად ითამაშა, კანდელაკის დებიუტი გადაიდო

გიორგი ონიანის შემდეგ, იენის "კარლ ცაისთან" კონტრაქტს (2+1 სისტემით) **გიორგი სეთურიძე** და **ილია კანდელაკი**ც მოაწერენ.

გუშინ ილია კანდელაკს დავუკავშირდით: *"ჯერ კონტრაქტი არ გამიფორმებია, რადგან ოდესის "ჩერნომორეციდან" გათავისუფლების ფურცელს ველოდები. ისე, კონტრაქტის პირობები შევათანხმეთ და მისურაც გადმომცეს. სეთურიძემ 23-ნომრიანი აირჩია, მე - 24. თუმცა ჯერ საბოლოოდ არ გადაგვიწყვეტია, შეიძლება ნომერი გამოვცვალო. კონტრაქტს კი, ალბათ, შაბათს გავაფორმებთ მეც, გიორგიც და რეზო ბარაბაძეც."*

რახან ამ თემას შევეხეთ, გეტყვით, რომ გიორგი სეთურიძეს ძალიან უყვარს ციფრი შვიდი და გამგზავრებამდე გვითხრა, თუკი საშუალება მექნება, 77 ნომერს ავიღებ, 7 დაკავებული იქნებაო.

გერმანელებმა კონტრაქტი 18 წლის **რევაზ ბარაბაძესაც** შესთავაზეს, მაგრამ მას ხანმოკლე (1+1) ხელშეკრულება აძლევს ხელს, იენელები სამწლიანს სთავაზობენ და ახლა მოლაპარაკება მიმდინარეობს. თუმცა ბარაბაძე "კარლ ცაისში" ნებისმიერ შემთხვევაში ჩაირიცხება.

სხვათა შორის, ჩასვლისთანავე, ხუთშაბათს ოთხივე ქართველმა ორმხრივ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და ბარაბაძემ ორი ბურთი გაიტანა. თუმცა გაუგებარია ეს ფაქტი - "კარლ ცაისის" პრესსამსახური და სპორტული დირექტორი **ლუტც ლინდემანი** სეთურიძისა და კანდელაკის მიმართ ინტერესს ადასტურებენ, ორი ბურთის გამტან ბარაბაძეზე კი სიტყვას არ ძრავენ. ფაქტია, რომ რეზო გუნდში ვარჯიშობს, კონტრაქტი შესთავაზეს და მალე ჩაირიცხება კიდეც.

ლინდემანი იენის გაზეთ "ფრისტაილ იენასთან"საუკეთესოდ ახასიათებს **გიორგი ონიანს**: *"ონიანი" "კარლ ცაისის" დაცვის სტაბილური თამაშის გარანტად მესახება. ის კარგად თამაშობს "შეორე სართულზე" და ორთაბრძოლების უმეტესობას იგებს. ამას გარდა, სწრაფია და ჩვენს ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებს."*

ლინდემანი სეთურიძესა და კანდელაკზეც საუბრობს: *"ჩვენ ილია კანდელაკსა და გიორგი სეთურიძესაც შევიძენთ. პირველს საქართველოს ნაკრებში თამაშის გამოცდილება გააჩნია. სეთურიძე კი ნაკრების კანდიდატია. მათი შეძენით "კარლ ცაისი" დაცვის პრობლემებს მოაგვარებს. ახლა ჩვენი მიზანი თავდამსხმელის შეძენაა."*

შესაძლოა, ამ უკანასკნელ ფრაზაში იენელთა სპორტულმა დირექტორმა ბარაბაძე იგულისხმა. ფაქტი ისაა, რომ იენელები ქართველთა ნაკადს დიდ ყურადღებას აქცევენ. გაზეთმა ინტერვიუ გერმანიაში მცხოვრებ ქართველს,"თბილისის" ყოფილ პრეზიდენტსა და მწვრთნელს, **გოჩა თამაზაშვილსაც** ჩამოართვა. ბატონი გოჩა რესპონდენტად შემთხვევით არ შეურჩევიათ, ის იენაში სწორედ ქართველთა დასახმარებლად ჩავიდა.

"თამაზაშვილი ათი წელიწადია, გერმანიაში ცხოვრობს. ის თამაშობდა "შტაინბარ-ჰალენბერგში" და "ვაიმარში". სამწვრთნელო ლიცენზია გააჩნია და სამშობლოში "თბილისსა" და "ლოკომოტივში" მუშაობდა. თამაზაშვილი ამბობს, რომ იენაში ქართველთა უპირველესი მზრუნველი გახდება. ის გერმანიაში ქართველთა მამაა", - წერენ გერმანელები.

დაბოლოს, გუშინ "კარლ ცაისმა" მორიგი ამხანაგური მატჩი გამართა. იენელებმა "აახენი" სტუმრად 1:0 დამარცხეს. ამ შეხვედრაში ორმა ქართველმა მიიღო მონაწილება. გიორგი ონიანი სასტარტო შემადგენლობაში იყო და 72-ე წუთზე მიულერმა შეცვალა. სწორედ ამ მატჩში შედგა გიორგი სეთურიძის არაოფიციალური დებიუტი. სეთურიძე 62-ე წუთზე ფროილიხის ნაცვლად გამოჩნდა მოედანზე. ილია კანდელაკს კი ამ ტესტმაჩში მონაწილეობა არ მიუღია.

მერაბ მამულაშვილი

რუსთაველები ჩემპიონთა ლიგის მატჩებისთვის საგულდაგულოდ ემზადებიან

ოლიმპი

ჩემპიონმა ჯილდასი და ჟივკოვიჩი დაიმატა

10 ივნისს უეფაში რუსთავის "ოლიმპმა" განაცხადი გააგზავნა. კლუბის ხელმძღვანელობა და მთავარი მწვრთნელი უკმაყოფილო იყვნენ იმ ფაქტით, რომ მარიკოულმა კლუბმა კონგოს ნაკრების კანდიდატი **მასუანგა ბოდრი ჯილდასის** გათავისუფლების ცნობა დროულად არ გამოაგზავნა.

თუმცა ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე კონგოელი თავდამსხმელი რუსთაველებს მაინც დაეხმარება. "ოლიმპის" პრესატაშის, **მიხეილ ჯორბენაძის** თქმით, მარიკოელებმა კეთილი ინებეს და ფეხბურთელს საბუთი გამოაგზავნეს. ჯილდასმა საკონტროლო შეხვედრებში თავი გამოიჩინა და ბუნებრივია, მისი დამატება გუნდს გააძლიერებს.

საქართველოში დაბრუნდა სერბი ნახევარმცველი **ვლადან ჟივკოვიჩი**, რომელიც სამშობლოში სამი დღით წავიდა და უკვე "ოლიმპში" ვარჯიშობს.

დაბოლოს, ასტანასთან მატჩზე დასასწრები ბილეთები 2 და 3 ლარია. ყაზახები ორშაბათს გვეწვევიან და სასტუმრო "ბატესტაში" დაბინავდებიან

მერაბ მამულაშვილი

გაურკვევლობა ბათუმში

ყველაფერი დღეს უნდა გადაწყდეს

ახალი სეზონის დაწყებამდე თვეზე ნაკლებია დარჩენილი და რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, "ბათუმის" ბედი ჯერაც გაურკვეველია. **ამირან გოგიტიძის** გუნდს ჩემპიონატისთვის მომზადება ჯერ კიდევ არ დაუწყია. უფრო მეტიც, "ბათუმს" აშკარად შეექმნება საკადრო პრობლემები. გასული სეზონის დამთავრების შემდეგ, გუნდი ერთბაშად რამდენიმე ფეხბურთელმა დატოვა.

თბილისის "დინამოდან" ნათხოვარი მცველი **უჩა ლობჟანიძე** და ნახევარმცველი **გიორგი ნერგაძე** დედაქალაქურ კლუბს დაუბრუნდნენ. **გიორგი თურმანიძემ, ნიკა კერესელიძემ, ვახტანგ კვარაცხელიამ, კობა შალამბერიძემ** და მეკარე **გიორგი სომხიშვილმაც** დატოვეს ზღვისპირა კლუბი. მათ ნაცვლად კი ბათუმელებს ჯერ არავინ დაუმატებიათ. თუმცა რა ფეხბურთლის დამატებაზეა საუბარი, როცა ჯერ კიდევ გაურკვეველია კლუბის მომავალი ბიუჯეტი და დაფინანსების წყარო.

მართალია, ამ მხრივ დაპირება არაერთია, მაგრამ სიტყვასა საქმეც ხომ უნდა მოჰყვეს და როგორც ჩანს, ამ გაურკვევლობასაც მალე დაესმება წერტილი. ყოველ შემთხვევაში, ბათუმელთა თავკაცს დღეს გასამართი შეხვედრისა დიდად ეიმედება.

"სამწუხაროდ, ასეა. ახალი სეზონისთვის მზადება ჯერ კიდევ არ დაგვიწყია. საერთოდ, ჩვენი კლუბის მომავალიც გაურკვეველია. ხვალ, 14 ივლისს, კლუბის კრებაა, ბათუმისა და აჭარის ფეხბურთის მესვეურებთან ერთად შევიკრიბებით და იმედია, ყველაფერი გაირკვევა. მჯერა, გუნდის მომავლის საკითხი დადებითად გადაწყდება", - "ლელოსთან" საუბარში განაცხადა "ბათუმის" მთავარმა მწვრთნელმა **ამირან გოგიტიძემ**.

დავით ცაბაძე

ცხინვალი აღმასკომზე გამოცხადდება

ოცდათასიანი ზღვარი

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის გენერალური მდივანი **პაატა ბურჯალიანი** ზუგდიდშია და უმაღლეს ლიგაში აღზევებული ადგილობრივი გუნდის ინფრასტრუქტურას ეცნობა. მას გუშინ დავუკავშირდით და საინტერესო ინფორმაცია გავიგეთ.

"უმაღლეს ლიგაში ასპარეზობის მსურველ კლუბს საბანკო ანგარიშზე აუცილებლად უნდა ჰქონდეს 20 ათასი ლარი. ეს ის მინიმალური თანხაა, რომელიც ერთი შეკრების მოწყობას სჭირდება. დამეთანხმებით, იმ გუნდს, რომელსაც შეკრების საშუალება არ აქვს, უმაღლეს ლიგაში არაფერი ესაქმება. ეს მოთხოვნა ხელს შეუწყობს ჩვენი ჩემპიონატის დონის გაუმჯობესებას. ვინც ამ მოთხოვნას ვერ დააკმაყოფილებს, უმაღლესი ლიგიდან უპირობოდ მოიკვეთება", - ამბობს ბურჯალიანი.

მასთან საუბრისას ისიც შევიტყვეთ, რომ "ცხინვალის" საკითხს სფფის უახლოესი აღმასკომი (თარიღი ჯერ არ დადგენილა) განიხილავს და ცხადია, რომ უმაღლეს ლიგაში თამაშის ნებას დართავს.

აქვე შეგახსენებთ, რომ მე-19 ეროვნული ჩემპიონატი 11 აგვისტოს დაიწყება, სეზონი კი 4 აგვისტოს გაიხსნება სათასო მატჩებით.

ლევან ჯანეზაშვილი

ყენია ვიზას ორშაბათს ელის

თბილისის "ლოკომოტივისა" და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველი **ლევან ყენია** მაისის შემდეგ გერმანიის ვიზას ელის. მას გელზენკირხენის "შალკეში" ინვევენ.

როგორც ჩანს, პრობლემები მოგვარდა. ლევანს გუშინ დავუკავშირდით და გვითხრა, რომ ორშაბათს გერმანიიდან ოფიციალურ მიწვევას მიიღებს, ვიზა წესით, პრობლემა არ იქნება და გავემგზავრებიო.

მოდებაძე მეტალურგს დაუბრუნდა, ჯაკობია მეტალისტს

ირაკლი მოდებაძე ზაპოროჟიეს "მეტალურგს" დაუბრუნდა. ეს იძულებითი ნაბიჯი გახლდათ. მას არ სურს "მეტალურგთან" ახალი კონტრაქტის გაფორმება და ზაპოროჟიელებს უარი უთხრა. თავის მხრივ, კლუბმა მოდებაძის შესყიდვის მსურველებს დიდი თანხა მოსთხოვა და ირაკლიმ კონტრაქტის დამთავრებამდე "მეტალურგში" დარჩენა გადაწყვიტა. ის დეკემბერში თავისუფალი აგენტი გახდება და სასურველ კლუბს იოლად აირჩევს. ამის გამო, ის ახლა დუბლებში ვარჯიშობს.

რაც შეეხება **ლაშა ჯაკობიას**, იგი ხარკოვის "მეტალისტს" დაუბრუნდა.

მერაბ მამულაშვილი

მესხეთი

სომხიშვილი და ჯიქია ახალციხეში

გიორგი სომხიშვილი

უმაღლესი ლიგის დებიუტანტი ახალციხის "მესხეთი" ახალი სეზონისთვის გამალებით ემზადება. **კობა თედიაშვილის** გუნდში რამდენიმე ცვლილება მოხდა. "მესხეთი" მთელმა რიგმა ფეხბურთელებმა დატოვეს. ახალციხელთა გუნდიდან **ზურაბ მუშკუდიანი, ტარიელ კუკულაძე** და **ოთარ მგელაძე** წავიდნენ. **პაატა გამცემლიძემ** და **გიორგი ილურიძემ** ჭიათურის "მაღაროელში" გადაწყვიტეს კარიერის გაგრძელება. **ალექსანდრე ჩომახიძემ** მშობლიურ "სამტრედიას" მიაშურა.

თუმცა, დანაკლისთან ერთად, შევსება მართლაც რომ სოლიდურია. კლუბის პრეზიდენტ **გია მესხელის** თქმით, "გაგრიდან" დამატებული **თემურ აფრიამაშვილისა** და **ლაშა მამუკაშვილის** გარდა, "მესხეთი" გამოცდილი **ალექსანდრე კაიდარაშვილითაც** გაძლიერდა. მესხელი მნიშვნელოვან ტრანსფერებად "ბათუმის" ყოფილი მეკარის, **გიორგი სომხიშვილისა** და "ბორჯომის" ყოფილ თავდამსხმელის, **შოთა ჯიქიას** დამატებასაც მიიჩნევს.

ახალციხელებმა, რომლებიც 23 ივნისიდან მოყოლებული ვარჯიშობენ, ერთი ამხანაგური მატჩი გამართეს. "მესხეთი" "ბორჯომს" სტუმრად გაეჯიბრა და 2:0 მოუგო. ერთი ბურთი **ბერიძემ** გაიტანა, მეორეჯერ კი ახალციხელებმა ბორჯომელთა- ავტოგოლით იხეირეს. კლუბის პრეზიდენტის თქმით, გუნდი ახლო მომავალში გამორჩეული სომეხი ლეგიონერებითაც გაძლიერდება.

დაბოლოს, ახალციხის "მესხეთი" ბორჯომში დღეს მორიგ საკონტროლო შეხვედრაში გორის "დილას" დაუპირისპირდება. ამ მატჩის შესახებ მომდევნო ნომერში გამცნობთ.

დავით ცაბაძე

თეორია

ცხოვრებისეული გურამ. 14.07.1938, სტალინირი (ახლანდ. ცხინვალი) - 1998, იქვე. ფეხბურთი, მცველი. თამაშობდა თბილისის "დინამოში" (1957, 64-70), ქუთაისის "ტორპედოსა" (1958-63) და რუსთავის "მეტალურგში" (1971). სსრკ ნაკრებში ჩაატარა 7 მატჩი, სსრკ უმაღლეს ლიგაში - 208 (6 გოლი). სსრკ ჩემპიონი (1964) და მესამე პრიზიორი (1967). სსრკ თასის გათამაშების ფინალისტი (1970). იყო ცხინვალის "სპარტაკის" მთავარი მწვრთნელი (1973-74). ღირსების ორდენის კავალერი.

გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერი

შაშიაშვილის სოლიდური დებიუტი

ავსტრიულ ბუნდესლიგაში პირველი ტურის მატჩები უკვე გაიმართა. 11 ივლისს **გიორგი შაშიაშვილს** "შტურმსა" და ახალ ლიგაში დებიუტი ჰქონდა და ამის შესახებ გაცნობეთ კიდეც. შეგახსენებთ, რომ "შტურმმა" სეზონი" აუსტრიასთან" 2:2 ფრით დაიწყო. ქართველი მცველი გრაცელთა გუნდის სასტარტო შემადგენლობაში იყო და შეხვედრაც ჩაამთავრა. საინტერესოა, თუ როგორ შეაფასა ავსტრიულმა პრესამ 6 ნომრით მოთამაშე ქართველი მცველის თამაში.

"საქართველოს ნაკრების მცველ გიორგი შაშიაშვილის "შტურმში" სოლიდური დებიუტი ჰქონდა. ის ორთაბრძოლებს არ ერიდება და თითქმის ყველა ბრძოლაში გამარჯვება მის მხარესაა. შაშიაშვილი საიმედოობით გამოირჩევა და მის ერთადერთ ნაკლად, შესაძლოა, მხოლოდ ერთი რამ ჩაითვალოს – საჰაერო ორთაბრძოლებში ყოველთვის სათანადოდ თავდაჯერებული არაა. თუმცა, ქართველმა მცველმა სადებიუტო მატჩშივე დაამტკიცა, რომ დაცვის ლიდერობა შეუძლია და გუნდის შედეგებიც მასზე დიდად იქნება დამოკიდებული", - წერს "სპორტ 1"-.

დაბოლოს, ავსტრიულ ბუნდესლიგაში მეორე ტურის მატჩები დღეს იწყება. დღესვე გრაცის "შტურმი" "ვაკერს" სტუმრად ეთამაშება.

დავით ცაბაძე

გიორგი შაშიაშვილი

გიორგი დემეტრაძე

დემეტრაძე კიევის არსენალში გადავიდა

როგორც ჩანს, კიევის "არსენალს" სერიოზული პერსპექტივა გამოუჩნდა და შარშანდელივით, უკრაინის ჩემპიონატის აუტსაიდერი არ იქნება. ყოველ შემთხვევაში, დღევანდელი გადასახედიდან ასე ჩანს.

კლუბი დასრულებული სეზონის ბოლოს, უკრაინის ერთ-ერთმა ცნობილმა ბიზნესმენმა, ჰოლდინგ "რიკო კეპტალ გრუპის" მეპატრონე **ვადიმ რაბინოვიჩმა** შეიძინა. თავდაპირველად, მოთამაშეთა იმედები არ გამართლდა - მდიდარმა მეპატრონემ ფეხბურთელებს ხელფასი შეუმცირა.

როგორც ჩანს, ეს საკმაოდ კარგად გათვლილი გეგმა იყო. "არსენალის" მეპატრონემ ძველი მოთამაშეები გაყარა და მათ ნაცვლად, სახელიანი ფეხბურთელების მიწვევა გადაწყვიტა. ძველებიდან მხოლოდ ორიოდე კაცს შესთავაზეს დარჩენა, მათ შორის კაპიტან **ლაშა ჯაკობიას**, რომელმაც ხარკოვის "მეტალისტში" დაბრუნება გადაწყვიტა.

"არსენალში" გასინჯვაზე იყო ახლო წარსულში "დეპორტივოს" ერთ-ერთი ლიდერი **დიეგო ტრისტანი**. ინფორმაცია კიეველთა მთავარმა მწვრთნელმა **ალექსანდრ ზავაროვმა** დაადასტურა.

"ტრისტანი მართლა იყო "არსენალში" და ვერ ვიტყვი, რომ ამ ტრანსფერის საკითხი უკვე დასრულებულია. ჩვენი სატრანსფერო პოლიტიკა აგრესიულია და ჩემპიონატის დაწყებამდე კიდევ რამდენიმე ცნობილ მოთამაშეს დავიმატებთ", - თქვა ზავაროვმა.

მან სიტყვა შეასრულა და მისი ჩანაფიქრი გუშინ გახდა ცნობილი: უკრაინული ინტერნეტ-სააგენტოები და გაზეთები ერთდროულად ავრცელებენ ინფორმაციას, რომ კიეველებმა გადაიბირეს საქართველოს ნაკრების თავდამსხმელი **გიორგი დემეტრაძე**. ინფორმაციის პირველწყარო სააგენტო "მიგნიუსია", რომელიც ამტკიცებს, რომ 31 წლის ფორვარდმა "არსენალთან" კონტრაქტი უკვე გააფორმა. სააგენტო მიუთითებს, რომ ეს სენსაციური ინფორმაცია "არსენალის" ხელმძღვანელობამ მიაწოდა, თუმცა, დეტალები - თუ როგორ გადაიბირეს დონეცკის "მეტალურგიდან" დემეტრაძე, რა თანხა გადაიხადეს მასში, არ სახელდება. თუმცა მითითებულია, რომ ტრანსფერი ძალიან სოლიდურ თანხად გამოისყიდეს. ბოლო ინფორმაციით, დემეტრაძის სატრანსფერო თანხა 900 ათას დოლარს შეადგენდა.

"ყველა დანარჩენი დეტალი უახლოეს პერიოდში გახდება ცნობილი. ასეა თუ ისე, გიორგი კიევის "არსენალში" ითამაშებს - ეს უკვე გადაწყვეტილი ფაქტია", - წერს "მიგნიუსი".

რაც მთავარია, დემეტრაძის ტრანსფერზე ინფორმაცია თავად "არსენალის" ოფიციალურ ვებ-გვერდზეც გამოჩნდა. ის ბაზაზე მივიდა და დემეტრაძე კარიერაში მეათე კლუბში ჩაირიცხება. აქამდე მას უთამაშია თელავის "კახეთში", თბილისის "დინამოში", "ალანიაში", კიევის "დინამოში", "რეალ სოსიედადში", "ფეიენოორდში", "ლოკომოტივში", ჰაიფას "მაკაბისა" და დონეცკის "მეტალურგში".

გუშინ **ოთარ მარცვალაძემ** შუადღისას დაგვიდასტურა, რომ გიორგი "არსენალის" ბაზაზე პარასკევ დილით გამოჩნდა: *"გიორგი "არსენალში" მოვიდა, ჯერ მისი ტრანსფერი საბოლოოდ გადაწყვეტილი არაა, მაგრამ ტყუილად არ მოვიდოდა. ისე, დემეტრაძისნაირ გამოცდილ ფეხბურთელთან თამაში მართლა სახიამოვნო იქნება."*

თავად ოთარის ამბავიც დაგაინტერესებთ: *"ორ დღეში ჩემპიონატი იწყება და მართალია, ჯერ კონტრაქტი არ გაგიფორმებია, მაგრამ წესით, გუნდები უკვე უნდა შეთანხმდნენ. ჯერ არც ვიცი, ნახევარი წლით დავრჩები თუ რა ხნით"*, - ამბობს მარცვალაძე.

მერაბ მამულაშვილი

იმედაშვილი სატურნში არ ითამაშებს

დავით იმედაშვილს რამენსკოეს "სატურნში" არ ითამაშებს. რუსული კლუბის გენერალურმა დირექტორმა **ბორის ჟიმანოვმა** "სპორტ-ექსპრესს" განუცხადა - *"დავით იმედაშვილი "სატურნში" მხოლოდ გასინჯვაზე იმყოფებოდა, ის გუნდში არ დარჩება."*

ახლა დათო კიევშია და სხვა გუნდის მოძებნა მოუწევს. უკრაინაში ახალი ჩემპიონატი გუშინ დაიწყო, მაგრამ სატრანსფერო ფანჯარა ჯერ არ დახურულა და შესაძლოა, ქართველი მცველი რომელიმე უკრაინულ კლუბში ვიხილოთ.

მერაბ მამულაშვილი

გვაზავა გარუსდა

ნალჩიკის "სპარტაკის" ქართველი ლეგიონერი **ლევან გვაზავა** დღეიდან რუსეთის მოქალაქეა. არა, გვაზავას რუსეთის ნაკრებში არავინ ეპატიჟება, უბრალოდ, ჩვენებურს ასე უფრო გაუიოლდება "სპარტაკის" სასტარტო შემადგენლობაში მოხვედრა, რადგან რუსულ პრემიერლიგაში ლეგიონერებზე ლიმიტია დაწესებული. ახლა ნალჩიკური კლუბი გვაზავასთვის ახალი ლიცენზიის აღებას შეეცდება, რომლის თანახმადაც, ლევანი ლეგიონერად აღარ ჩაითვლება.

ლეგიონერები

მენთეშაშვილმა სკონტოზე ჯავრი იყარა

ლატვიის ჩემპიონატში ჩვენთვის საინტერესო დაპირისპირება შედგა - ქვეყნის ჩემპიონმა "ვენტსპილსმა" რიგის "სკონტოს" უმასპინძლა. მოგეხსენებათ, ორივე კლუბში საქართველოს ეროვნული ნაკრების ფეხბურთელები თამაშობენ. "ვენტსპილსმა" 3:1 მოიგო და ცხრილში გადაასწრო უშუალო კონკურენტს. მასპინძელთა მესამე გოლი **ზურაბ მენთეშაშვილმა** გაიტანა. სტუმართა რიგებში არ ყოფილა **ზაალ ელიავა, დავით გამეზარდაშვილმა** კი შეუცვლელად ითამაშა. მენთეშაშვილმა გოლი 87-ე წუთზე შეაგდო.

ლიტვაში **აკაკი ხუბუტიას** "შილიუტემ" სტუმრად "სუდუვასთან" 0:3 დათმო. აკაკიმ შეუცვლელად ითამაშა, თუმცა გუნდის განადგურებას ხელი ვერ შეუშალა. "შილიუტეს" მხოლოდ 9 ქულა აქვს და ბოლოსწინა ადგილზეა, **გივი კვარაცხელიასა** და **ნუკრი მანჩხავას** "კაუნასი" 40 ქულით ლიდერობს.

მოლდოვაში მესამე ტურის ერთი მატჩი გაიმართა, ტირასპოლის "შერიფმა" 3:0 მოუგო "ისკრას". "შერიფის" კაპიტანმა **ვაჟა თარხნიშვილმა** მოედანზე 90 წუთი დაჰყო.

კვირკველიამ ყვითლით დაიწყო, კანკავამ დუბლები გოლით

გუშინ ზაპოროჟიეში საზეიმოდ გაიხსნა უკრაინის მე-17 ვიშა ლიგა. ადგილობრივმა "მეტალურგმა" მოგებით დაიწყო პირველობა, მინიმალური ანგარიშით ლვოვის "კარპატი" დაამარცხა - 1:0. "მეტალურგში" ორი ქართველი ლეგიონერი ირიცხება, თუმცა **ირაკლი მოდებაძე** ალბათ მაინც შეიცვლის კლუბს. მატჩის წინ ზაპოროჟიელთა მთავარმა მწვრთნელმა **ანატოლი ჩანცევმა** მოდებაძის შესახებ შემდეგი თქვა: *"დღეისათვის ირაკლი დუბლებში ვარჯიშობს, სეზონის ბოლოსკენ მასთან სამწვრთნელო შტაბს გარკვეული პრეტენზიები გვქონდა დისციპლინასთან დაკავშირებით. ახლა კი, როგორც იტყვიან, ყველაფერი თავად მასზეა დამოკიდებული"*. წინა დღით მოდებაძემ "მეტალურგის" და "კარპატის" დუბლების მატჩში მიიღო მონაწილეობა, რომელიც ასევე მასპინძელთა მინიმალური გამარჯვებით დასრულდა. ირაკლი 49-ე წუთზე შევიდა მოედანზე. ვიშა ლიგის მატჩში **დავით კვირკველიამ** შეუცვლელად ითამაშა, მეორე ტაიმში კვირკველიამ მოედნის ცენტრში მიიღო ყვითელი ბარათი.

გუშინ დუბლების ჩემპიონატის რამდენიმე მატჩი გაიმართა, "დნიპრომ" 6:0 გაანადგურა "კრივბასი". სასტარტო შემადგენლობაში, ჩვენდა გასაკვირად, **ჯაბა კანკავა** ვიხილეთ. მეტიც, 21-ე წუთზე სწორედ კანკავამ გახსნა ანგარიში. ჯაბა შესვენებაზე შეცვალეს.

ნიკოლოზ ნეფარიძე

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ილ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყაზბეგი
www.kazbegi.com

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

პოლ კესანი

ზესტაფონი

ყაზახები კესანის მიმართ ინტერესს ადასტურებენ

გაბონელი მოგვწონს, მაგრამ...

რამდენიმე დღის წინათ, გავრცელდა ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც „ზესტაფონის“ გაბონელი ლეგიონერის, **პოლ კესანის** გადაბირება კუსტანაის „ტობოლს“ სურს. სავარაუდო თანხა 100 000 დოლარიც იყო დასახელებული, რომელიც თითქოსდა ყაზახურმა კლუბმა „ზესტაფონს“ კესანის სანაცვლოდ უნდა გადაუხადოს.

გაბონის ნაკრების ნახევარმცველი ინტერტოტოს თასზე კუსტანაელების წინააღმდეგ ორივე მატჩში კარგად გაისარჯა და ყაზახების სიმპათიაც დაიმსახურა. ამდენად, მისით „ტობოლის“ დაინტერესება მოულოდნელი სულაც არ ყოფილა. ჩვენ შევეცადეთ გაგვერკვია, რამდენად შეესაბამება ეს ინფორმაცია სიმართლეს და თავდაპირველად „ზესტაფონის“ პრესატაშეს, **სერგო ფუტკარაძეს** დავუკავშირდით: *„კესანმა ორივე მატჩში მაღალ დონეზე ჩაატარა. შეუძლებელია, რომ მისი თამაშით ყაზახები გულგრილი დარჩენილიყვნენ, ვიცი, რომ გაბონელი ძალიან მოეწონათ, მაგრამ მისი შეძენის თაობაზე ჩვენთვის არავის მოუმართავს. „ზესტაფონი“ წინა წლების მსგავსად, ახალ სეზონშიც მაქსიმალურ შედეგებს ისახავს მიზნად. კესანი ჩვენი გუნდის წამყვანი მოთამაშეა და მასზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული. გაბონის ნაკრების ნახევარმცველი „ზესტაფონისთვის“ იმდენად საჭირო ფეხბურთელია, რომ მას გუნდიდან არავინ გაუშვებს,“*-განაცხადა ფუტკარაძემ.

ჩვენ ყაზახური მხარის პოზიციითაც დავინტერესდით და „კუსტანაისკი ნოვოსტის“ კორესპონდენტის, **ფარიდ დანდიბაევის** დახმარებით კესანის საკითხთან დაკავშირებით „ტობოლის“ დირექტორის, **ნიკოლაი პანინიმის** კომენტარი მოვიპოვეთ. *„გაბონელი პოლ კესანით ნამდვილად ვართ დაინტერესებული. თუმცა მასთან დაკავშირებით კონკრეტულად არაფერი განგვიხილავს. მით უმეტეს, სავარაუდო თანხა, რომელიც თითქოსდა აფრიკელში უნდა გადავიხადოთ. მინდა აღვნიშნო, რომ თავდაპირველად ჩვენ „ზესტაფონის“ მე-11 ნომრით (გაგა ჩხეტიანი-დ.ც.) დავინტერესდით, თუმცა შემდეგ არჩევანი გაბონელზე შევაჩერეთ. აფრიკელის მიმართ ინტერესს არ უარვყოფთ, მაგრამ იმის თქმა, რომ პოლ კესანი აუცილებლად „ტობოლში“ ითამაშებს, ნაადრევია“*-აცხადებს კუსტანაელთა გენერალური დირექტორი.

კესანის „ტობოლში“ გადასვლის შემაფერხებელი ფაქტორი შესაძლოა ისიც აღმოჩნდეს, რომ ყაზახეთში ლეგიონერებზე ლიმიტია დაწესებული. გუნდებს სამ ლეგიონერზე მეტის ყოლა არ შეუძლიათ. კუსტანაელებს კი უკვე ჰყავს სამი უცხოტომელი. სხვათა შორის, ლიმიტი არ ეხებათ იმ ქვეყნების წარმომადგენლებს, რომელთა ნაკრები გუნდები ფიფას რეიტინგში პირველ ათეულში არიან(?!).

„ტობოლი“ დღეს ინტერტოტოს თასის განმეორებით შეხვედრაში ლიბერეცის „სლოვანს“ ხვდება და როგორც ყაზახური კლუბის დირექტორი პანინიმი აცხადებს, საჭირო ფეხბურთელებს ჩეხეთშიც გამოძებნის. ჩეხებს ლიმიტი არ შეეხებათ, რადგანაც ისინი რეიტინგში პირველ ათეულში არიან. სხვა საკითხია, ისურვებენ თუ არა ისინი შუა აზიაში ბურთის გორებას.

დავით კოხრეიძე

ტორპედო

ქუთათურები დღეს იწყებენ

საქართველოს სამგზის ჩემპიონის, ქუთაისის „ტორპედოს“ დღევანდელ მდგომარეობას სახარბიელო ნამდვილად არ ეთქმის, ქუთაისელებს ძალიან ბევრი პრობლემა აქვთ, თუმცა გუნდი XIX ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობას მაინც მიიღებს.

„ტორპედოს“ სამონაწილეო თანხის გადახდაში ქუთაისელი ბიზნესმენი **ზელიმხან გიორგაძე** ეხმარება. მოლაპარაკება მიმდინარეობს სხვა საქმოსნებთანაც და სავარაუდოდ, გუნდს დამხმარეები კიდევ გამოუჩნდებიან. ქუთათურები სეზონისთვის მზადებას დღეს საღორიის საწვრთნელ ბაზაზე დაიწყებენ.

„ტორპედოს“ მთავარ მწვრთნელს, **დავით ჯანაშიას** გუნდის ხელახალი დაკომპლექტება მოუწევს. გასული სეზონის შემდეგ „ტორპედო“ რამდენიმე წამყვანმა ფეხბურთელმა დატოვა. ზუგდიდის „მგლებში“ გადავიდა **ჭედია**, თბილისის „ლოკომოტივში“ ჩაირიცხა **ლაღაძე**, ხოლო ყაზახეთის გზას დაადგა **გურული**. სხვა ფეხბურთელებიც წასასვლელად არიან გამზადებული და სავარაუდოდ, „ტორპედო“ ჩემპიონატს სრულიად სახეცვლილი შეხვდება.

დავით კოხრეიძე

ქართული ტრანსფერები

გუნდი	წავიდნენ	მოვიდნენ	გეგმები
ოლიმპი	ძოძუაშვილი (მწვრთნელი), რ. გოცირიძე (ამერი), ჩხარტიშვილი, ბერუაშვილი, ძამსაშვილი გ. ონიანი (კარლ ცაისი), სეთურიძე (კარლ ცაისი)	ვ. კილასონია (მთავარი მწვრთნელი გახდა), ქასრაშვილი (მწვრთნელი), აკუასაგა, სილაგაძე (სიონი), კოშკაძე (ბორჯომი), ჟივკოვიჩი, დვალი (ჩიხურა), რ. ჯიქია (არენდით მგლებიდან), ჯილდასი	შეკრება ურეკში, ჩემპიონთა თასის საკვალიფიკაციო ეტაპი
დინამო	იაშვილი (თუნი), შაშიაშვილი (შტურმი), სირბილაძე (GMFF შვედეთი)	გველესიანი (ვიტ ჯორჯია), გონჩაროვი (დილა), ოვონო, აკირემი, ვუკუე, დობეში, ლობჟანიძე (ბათუმი)	შეკრება ბაკურიანში, გერმანიაში. უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპი
ამერი	სევასტოპულო (მერანი), ნაჭყეპია (კარიერა დაასრულა),	კობაური (სიონი), ბ. ცხადაძე (სიონი), ა. ალავიძე (სიონი), შალამბერიძე (ბათუმი), რ. გოცირიძე (ოლიმპი), ვარდოსანიძე (დილა)	შეკრება ჩეხეთში. უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპი
ზესტაფონი	ბ. ნოზაძე (მერანი), გ. ჭელიძე, ბ. გოცირიძე, ლეანდრო, პარამონოვი, დოლონაძე	—	შეკრება ურეკსა და ანკარაში
ვიტ ჯორჯია	გელაშვილი (ბრიუგე), გველესიანი (დინამო), ა. კვახაძე (სატურნი), თ. კობიაშვილი (ბორჯომი),	—	შეკრება ყირიმში
სიონი	კ. ცხადაძე, ბ. კვარაცხელია (მწვრთნელები), კობაური (ამერი), ბ. ცხადაძე (ამერი), ა. ალავიძე (ამერი), დარასელია, სილაგაძე (ოლიმპი), მამალაძე, ბაბუნაშვილი, ექონია (მგლები), ლ. კორღალიძე, ორბელაძე (ოლიმპი)	აკობია (მწვრთნელი), ბობოხიძე (დინამო)	შეკრება ბოლნისში
ტორპედო	ჭედია (მგლები), ლაღაძე (ლოკომოტივი), გურული (ჟეტისუ, ყაზახეთი)	—	შეკრება ქუთაისში
ლოკომოტივი	გოჩაშვილი, სოსელია, ჩომახიძე	გ. ყიფიანი (დინამო), გ. მიქაძე (ჩიხურა), ხოხონიშვილი (ბათუმი), ლაღაძე (ტორპედო)	შეკრება ურეკში
ბათუმი	ლობჟანიძე (დინამო), შალამბერიძე (ამერი), ხოხონიშვილი (ლოკომოტივი), ვ. კვარაცხელია, სომხიშვილი (მესხეთი), ნერგაძე, კერესელიძე, თურმანიძე	—	შეკრება არ დაწყებულა
ბორჯომი	კაიდარაშვილი (მესხეთი) შ. ჯიქია (მესხეთი), კოშკაძე (ოლიმპი), ლ. მერებაშვილი, მემარნიშვილი, კოდალაევი, ნადირაშვილი, ავალიანი	ვ. ხორგუაშვილი (ტირასპოლი), პ. ხორგუაშვილი (შერიფი), თ. კობიაშვილი (ვიტ ჯორჯია)	შეკრება ბორჯომში
მერანი	ბალაძე (მწვრთნელი), კედელაშვილი, გაგუა (ცხინვალი), გლუნჩაძე (ცხინვალი)	კოსტავა (მწვრთნელი, ნ/დინამო), მამარდაშვილი (მეკარეთა მწვრთნელი), თევდორაძე (დილა), ავალიანი (მეშაქრე), სევასტოპულო (ამერი), ბ. ნოზაძე (ზესტაფონი), მგალობლიშვილი (გაგრა), ტყეშელაშვილი (გაგრა), ბოკუჩავა (ნ/დინამო), ლოლაძე (ნ/-დინამო), ქობალია (ნ/დინამო), ტორონჯაძე (ნ/დინამო), ქემუხტაშვილი (ნ/დინამო), ლობჟანიძე (ნ/დინამო)	შეკრება კოჯორსა და ურეკში
ცხინვალი	—	ჟორჟიკაშვილი (მწვრთნელი)	—
მგლები	გ. თოდუა (მტზ-რიპო), რ. ჯიქია (არენდით ოლიმპი)	ექონია (სიონი), ჭედია (ტორპედო)	შეკრება ზუგდიდში
მესხეთი	მუშკუდიანი, კუკულაძე, გამცემლიძე (მაღაროელი), ილურიძე (მაღაროელი), მგელაძე, ა. ჩომახიძე (სამტრედია)	აფრიამაშვილი (გაგრა), მამუკაშვილი (გაგრა), კაიდარაშვილი (ბორჯომი), სომხიშვილი (ბათუმი) შ. ჯიქია (ბორჯომი)	შეკრება ახალციხეში

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსალოდნელი ტრანსფერი

კარლოს ტევესი მანჩესტერს მიუახლოვდა

არგენტინელ ფორვარდს ოთხშაბათს სამედიცინო შემოწმებაზე ელიან. კია ჯურაბჩიანი გვარწმუნებს, რომ კარლოსის ტრანსფერი გადაწყვეტილი ამბავია

თითქმის გადაწყვეტილია, რომ არგენტინის ნაკრების ფორვარდი **კარლოს ტევესი** "მანჩესტერ იუნაიტედში" გააგრძელებს კარიერას. ამ ფეხბურთელის აგენტი **კია ჯურაბჩიანი** აცხადებს, რომ ტევესი კოპა ამერიკას შემდეგ ინგლისში გაემგზავრება და ოთხშაბათს, "მანჩესტერში" სამედიცინო შემოწმებას გაივლის. ამის შემდეგ კი, ინგლისის ჩემპიონთან კონტრაქტის გაფორმებაა დაგეგმილი.

"მომავალი კონტრაქტის პირობები უკვე დიდი ხანია შეთანხმებულია. ოთხშაბათს კარლოსი "მანჩესტერში" იქნება. იმედი გვაქვს, ამ დროისთვის ორივე მხარე შეძლებს ყოველგვარი ადმინისტრაციული ფორმალობების მოგვარებას და უკვე მომავალ კვირას ხელშეკრულების გაფორმებას. ტევესის "იუნაიტედში" გადასვლის საკითხი შეგიძლიათ თითქმის გადაწყვეტილად ჩათვალოთ", - ამბობს ჯურაბჩიანი.

როგორც ინგლისური პრესა ვარაუდობს, "მანჩესტერს" ტევესის ტრანსფერი 60 მილიონ დოლარზე მეტი დაუჯდება. თუმცა, თანხის ოდენობა არ აღელვებს "იუნაიტედის" დამრიგებელს, სერ **ალექს ფერგიუსონს**, რომელიც მოუთმენლად ელის მის გუნდში არგენტინელი ფორვარდის ჩარიცხვას. *"ტევესი ფანტასტიკურ ფორმაშია. თანაც, ის მხოლოდ 23 წლისაა და კიდევ შეუძლია თამაშის მომატება",* - აცხადებს ფერგი.

ცნობილია, რომ "მანჩესტერში" თამაშობს კიდევ ერთი არგენტინელი ფეხბურთელი, მცველი **გაბრიელ ჰაინცე**. ტევესის სავარაუდო ტრანსფერს ეს უკანასკნელიც გამოეხმაურა და ამაყად აღიარა, რომ კარლოსის "იუნაიტედში" გადასვლაში მანაც დიდი როლი ითამაშა.

"კარლოსს ბევრს ვესაუბრებოდი "მანჩესტერის" შესახებ და ისიც ხშირად მისვამდა შეკითხვებს კლუბზე, მოთამაშეებზე, მწვრთნელებზე... ვფიქრობ, ტევესი ძალიან გამოადგება ჩვენს გუნდს და ის "იუნაიტედის" შეტევით ხაზს "ააფეთქებს". ნებისმიერი გუნდის გულშემატკივარი ინატრებდა ასეთი ტიპის ფორვარდს", - ამბობს გაბრიელ ჰაინცე, რომელიც არგენტინის ნაკრებთან ერთად კოპა ამერიკას ფინალისთვის ემზადება.

დევიდ ბექჰემი მეუღლესთან ერთად

ვარსკვლავი

ბექჰემი: რეალში სიამოვნებით დავრჩებოდი!

დევიდი გულდაწყვეტილია, მაგრამ ველარაფერს შეცვლის...

მადრიდის "რეალიდან" ლოს ანჯელეს "გალაქსიში" გადაბარგებული **დევიდ ბექჰემი**, რომელსაც ამერიკულ კლუბში ოფიციალურად დღეს წარადგენენ, არ მალავს, რომ ბოლოს "რეალში" დარჩენა სურდა. მისი თქმით, ესპანეთის ჩემპიონობის მოპოვების შემდეგ, ძალიან დასწყდა გული იმის გამო, რომ მადრიდული კლუბის დატოვება უწევს.

"გულახდილად გეტყვით, მზად ვიყავი იმისთვის, რომ სამეფო გუნდში დავრჩენილიყავი. ვფიქრობ, კიდევ 2-3 სეზონს მაღალ დონეზე ჩავატარებდი. იანვარში, როცა მითხრეს, რომ ჩემი კონტრაქტის გაგრძელება არ სურდათ, მივიღე გადაწყვეტილება, რომელსაც ახლა ვნანობ. მაშინ გუნდიდან წასვლა ძალიან მინდოდა, მაგრამ როცა ჩემპიონობა გავინაღდეთ, გული დამწყდა, რომ "რეალის" დატოვება მიხდება. მაგრამ ახლა ველარაფერს შევცვლით, გადაწყვეტილება მიღებულია," - აცხადებს ბექჭი "სანისთვის" მიცემულ ინტერვიუში და იქვე ამატებს, - *"გალაქსის" გულშემატკივრები ფიქრობენ, რომ რაკი გუნდმა ბექჰემი შეიძინა, ახლა ყველა თამაშს 10:0-ს მოვიგებთ, მე კი თითოეულ მატჩში 4-5 გოლს გავიტან. ეს დიდი შეცდომაა!. მე სხვა სტილის ფეხბურთელი ვარ."*

ჰოლანდიელი ვუნდერკინდი რეალს ეხმიანება

უკვე ვნერდით იმის შესახებ, რომ ჰოლანდიელი ვუნდერკინდის, **როისტონ დრენტეს** გადაბირებით მადრიდის "რეალი" არის დაინტერესებული. როგორც ირკვევა, 20 წლის ფეხბურთელსაც, კარიერის გაგრძელება ყველაზე მეტად სამეფო კლუბში სურს.

"თუ "რეალს" მართლა სურს ჩემი გადაბირება, არ მინდა ამ შანსის ხელიდან გაშვება. ასეთი რამ, ცხოვრებაში ერთხელ ხდება. ხომ შეიძლება ისე მოხდეს, რომ ორი წლის შემდეგ პროგრესი შევწყვიტო და მათ ჩემს მიმართ ინტერესი დაკარგონ", - სვამს კითხვას დრენტე.

მიუხედავად ასეთი განწყობისა, "ფეიენოორდის" ხელმძღვანელობა თვლის, რომ დრენტესთვის ჯერ ადრეა "რეალის" დონის გუნდში გადასვლა. თუმცა, აქ მედლის მეორე მხარეც გასათვალისწინებელია. ახალგაზრდა ჰოლანდიელში "რეალი" 8-10 მილიონ ევროს იხდის, "ფეიენოორდი" კი, ფინანსურ კრიზისს განიცდის.

აქვე შეგახსენებთ, რომ დრენტესთან მიმართებაში "ბარსელონა" და "ჩელსიც" აქტიურობენ.

ექსპერტის აზრი

შესანიშნავი ოთხეული

ტევესი რომ მანჩესტერ იუნაიტედში გადავიდეს... მოწინააღმდეგეთა მცველები განადგურებისთვის იქნებიან განწირულნი

ტონი კასკარინო, რომელმაც თავის დროზე "ასტონ ვილაში", "სელტიკსა" და "ჩელსიში" მოასწრო თამაში, გაიტანა 19 გოლი ირლანდიის ნაკრების შემადგენლობაში და შემდეგ, მარსელის "ოლიმპიკის" შემადგენლობაში ჩატარებულ 84 მატჩში 61 გოლი გაიფორმა, ამჟამად რადიოში მუშაობს და პარალელურად საკუთარი სვეტი აქვს The Times-ში და Hot Press Magazine-ში. გთავაზობთ ამ შესანიშნავი ფეხბურთელის აზრსს კარლოს ტევესის "მანჩესტერ იუნაიტედში" გადასვლასთან დაკავშირებით.

წარმოუდგენელია! თუ "მანჩესტერი" **კარლოს ტევესის** დამატებასაც შეძლებს და სერ **ალექს ფერგიუსონი** მოახერხებს მთელი თავისი შეტევითი გვარდიის (რომელიც, ალბათ, ყველაზე სახიფათო იქნება პრემიერლიგის ისტორიაში) პოტენციალის გამოყენებას, რაღაც განსაკუთრებულ და არნახულ სანახობასთან გვექნება საქმე. მოედანზე ერთ გუნდში ტევესის, **უეინ რუნის, რაიან გიგზისა** და **კრისტიანო რონალდოს** ერთად ყოფნა საფეხბურთო ესთეტიკის მოყვარულებს ადრენალინის გამოყოფის საშუალებას მისცემს. სავარაუდოდ, ეს იქნება საუკეთესო ფორმაში მყოფი "ბარსელონას" ტიპის გუნდი.

განსაკუთრებით მეცოდებიან ის მცველები, რომლებსაც "მანჩესტერის" წინააღმდეგ მოუწევთ თამაში. მათ ადგილზე უკვე ახლა ამიტანდა შიში. გაუგებარია, როგორ შეძლებენ ისინი ამ შესანიშნავი ოთხეულის შეჩერებას. ეს ბიჭები ნებისმიერ მცველს გაუსწორდებიან და აიძულებენ მათ სასოწარკვეთისგან თმები დაიგლიჯონ.

"ბარსა" დაახლოებით ასე თამაშობს - მაღალი ტემპი, მუდმივი მოძრაობა და პოზიციების ცვლა. ეს იმდენად შთამბეჭდავი სანახობაა, რომ პერიოდულად გუნდის ძალა, უბრალოდ, შიშის მომგვრელი ხდება. "იუნაიტედს" შეუძლია დაუბრუნდეს 90-იან წლებში ჩამოყალიბებულ თავისივე სტილს, როცა მეტოქეთა კარში საშუალოდ სამი გოლი შედიოდა. იქნებ, სერ ალექსის ამჟამინდელი ახალგაზრდობა იმ თაობაზე უფრო მრისხანეც გამოდგეს.

ორი მძლავრი პიტბული რუნისა და ტევესის სახით, თავისუფლად შეძლებს კარისგან ზურგშექცევით ბურთის დამორჩილებას და საჭირო მომენტში საჯარიმოში შევარდნილი გიგზისა თუ რონალდოსთვის ბურთის დასარტყმელად დაგორებას.

ვიღაც იტყვის, რომ მათ ცუდად იციან "მეორე სართულზე" თამაში, მაგრამ სამაგიეროდ, რონალდო თამაშობს თავით კარგად - მის ბოლო მომენტში შესრულებულ ნახტომებს ხშირად მოუტანია მეტოქისთვის პრობლემები. ნებისმიერ შემთხვევაში, მცველებს უბრალოდ, თავბრუ დაესხმებათ ამ კვარტეტის მიერ დატრიალებული კარუსელით და ასეთ შემთხვევაში, ხშირად განადგურება გარდაუვალი იქნება.

ვერ წარმომიდგენია, როგორ უნდა გაუსწორდეთ მათ. წარმოიდგინეთ, საბრალო ცენტრალური მცველის მდგომარეობა: *"აბა ბიჭებო, ამას მე ვიყვან, ამას შენ... ღმერთო ჩემო, აქ კიდევ ერთია!!!"* "იუნაიტედი" ნებისმიერი კუთხიდან და ნებისმიერი მიმართულებით უტევს, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ საჯარიმოს ნამდვილი ცუნამი უახლოვდება და იქ მყოფთ გადარჩენის შანსი ნულის ტოლი აქვთ.

ტევესი ძალიან მოუხდება ფერგიუსონის გუნდს. მას, რა თქმა უნდა, გარკვეული დრო დასჭირდა "ვესტ ჰემში" ადაპტაციისთვის, მაგრამ შემდეგ არგენტინელმა ყველას დაანახა, თუ ვინ იყო საუკეთესო. ამ ბიჭმა, როგორც კარგმა კამეჩმა, "ჩაქუჩები" ჭაობიდან ამოათრია.

იგივე ტევესი შესანიშნავად ურტყამს ჯარიმებს, **დევიდ ბექჰემის** წასვლის შემდეგ, "მანჩესტერში" ამას ასე კარგად ვერავინ აკეთებდა. რონალდო სტანდარტული მდგომარეობისას მაინც ხშირად ცდება, ტევესს კი, შესანიშნავ სტილში შეუძლია დაარღვიოს მეტოქის კარის ცხრიანში გაბმული ობობის ქსელი.

ფერგიუსონის მიერ ამ არანორმალური ოთხეულის გამოყენების ახალი სისტემა თავდამსხმელთა უკან **ოუენ ჰარგრივზის** მოქმედებას გულიმსხმობს, **პოლ სქოულზმა** კი, შეიძლება უფრო სიღრმიდან იმოქმედოს და მოედნის ცენტრში გააკონტროლოს სიტუაცია, რასაც ის ასრულებდა კიდეც ბოლო წლებში.

ასეთ შემთხვევაში **მაიკლ ქერიქი** ზედმეტია, მაგრამ ძლიერ მოწინააღმდეგესთან გასვლით შეხვედრაში სავსებით შესაძლებელია სამი ცენტრალური ნახევარმცველით თამაში და ქერიქის ჰარგრივზის წინ დაყენება. ეს უფრო მყარი სქემაა და არანაკლებ მრისხანეც.

მაგრამ ყველაზე მეტად, მე ამ კვარტეტის ევროპაში ხილვა მსურს. ხშირად, ფერგი ძალიან აკურატულად მოქმედებს ჩემპიონთა ლიგის მატჩებში და ეშინია გახსნილი ფეხბურთის თამაში. წინ, ფერგი! არაფრის შეგეშინდეს! დაანთე მინდორზე ცეცხლი!

ტონი კასკარინო

პრიმერა დივიზიონი

მაჭადორებს ქალი განსჯის

მარია ლუისა გუტიერესი პრიმერას პირველი მანდილოსანი მსაჯი გახდება

ესპანეთის ფეხბურთის სამეფო ფედერაციამ ქვეყნისთვის უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო და პრიმერა დივიზიონში მსაჯობის უფლება ქალს მიანიჭა. **მარია ლუისა ვილია გუტიერესი** ელიტარული ლიგის შეხვედრებისას გვერდითი არბიტრის ფუნქციას შეასრულებს. ამ ნაბიჯით ესპანელები შეეცდებიან, მსოფლიო ფეხბურთში მიმდინარე მივლენებს ფეხი აუწყონ. მოგეხსენებათ, სუსტი სქესის წარმომადგენლები რამდენიმე ქვეყანაში უკვე მსაჯობენ, ამასთან, დიდი წარმატებითაც. ფედერაციის პრეზიდენტი, **ანხელ მარია ვილიარი** დარწმუნებულია, რომ სენიორა მარია ლუისა დაკისრებულ მოვალეობებს ღირსეულად გაუმკლავდება. აი, რას ამბობს ბატონი ანხელ მარია: *"ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ პრიმერა დივიზიონში ქალი მსაჯები ეტაპობრივად გამოჩნდნენ და თანამედროვეობას ფეხი შეუწყონ. მარია ლუისა გუტიერესი ნიჭიერი ქალბატონია. მან უკვე დაამტკიცა, რომ სერიოზული შეხვედრების მომსახურების უნარი შესწევს. ჯერ-ჯერობით ის გვერდითი არბიტრად იმუშავებს. გამოცდილების შეძენის შემდეგ კი მთავარი მსაჯობაც შეეძლება."*

მოტივირებულია თავად მარია ლუისა ვილია გუტიერესიც: *"მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. ფედერაციის უმაღლესმა ხელისუფლებამ უდიდესი ნდობა გამომიცხადა. ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ გაცემული ავანსები გავამართლო. იმედია, სუსტი სქესის მსაჯი ფეხბურთელებს აგრესიის გამოვლენის სურვილს გაუქრობს. რა თქმა უნდა, ამისთვის ჩემი სწორი მუშაობაა საჭირო, თუმცა ხშირად ხდება, როცა არბიტრი სწორ გადაწყვეტილებას იღებს, მაგრამ მოთამაშეები მას შეურაცხყოფას აყენებენ. მოკლედ, მჯერა, ქალს პატივისცემით მოეკიდებიან და პრობლემებსაც ნაკლებად წავაწყდები."*

ეროვნული ბიბლიოთეკა

შალკე

კურანი, შალკეს ახალი ბოსი

ფენერბაჰჩე კევინის სანაცვლოდ 15 მილიონს ჩამოდის! მიულერი: ის არ იყიდება!

კევინ კურანი ბრაზილიაში დაიბადა, პანამაში გაიზარდა და გერმანიის ნაკრების ფეხბურთელია... "შალკემ" ეს თავდამსხმელი 2005 წელს "შტუტგარტიდან" 6.9 მილიონ ევროდ იყიდა და მიუხედავად იმისა, რომ თავიდან მასზე გაცემულ ავანსებს ვერ ამართლებდა, გელზენკირხენელებს კევინის გასხვისებაზე ფიქრიც კი არასდროს დაუწყიათ...

გუშინ, მორიგი ვარჯიშის დასრულების შემდეგ, როცა ფეხბურთელებმა გასახდელისკენ აიღეს გეზი, ბაზაზე შეკრებილმა გულშემატკივრებმა ამ სიტყვების სკანდირება დაიწყეს: *"კევინ, შენ არ გაქვს წასვლის უფლება!"* 25 წლის ფორვარდმა ფანებს არ წაუყრუა და მიაძახა: *"თქვენ განუმეორებლები ხართ, ფეხბურთელს ასეთი კომპანიიდან წასვლა არასდროს მოუნდება!"*

"შალკეს" ქომაგების აღშფოთების მიზეზი ბოლო დღეებში გავრცელებული ინფორმაციები გახლავთ. დადასტურებული ფაქტია ის, რომ კურანის გადაბირებას "ფენერბაჰჩე" ცდილობს. კევინის შეძენა "ფენერის" ბრაზილიელ მწვრთნელ **ზიკოს** მოუწადინებია და კლუბის ხელმძღვანელებიც მაქსიმალურად ცდილობენ, რომ ლეგენდარული ბრაზილიელის ეს თხოვნა შეასრულონ. თურქებმა "შალკეს" გენერალურ მენეჯერ **ანდრეას მიულერს** ჯერ 10 მილიონი ევრო შესთავაზეს, მაგრამ მისგან ცივი უარი მიიღეს, ახლა კი ახალი წინადადებით მიმართეს და მზად არიან, კევინის სანაცვლოდ 15 მილიონი გადაიხადონ. და როგორც ჩვენი გერმანელი კოლეგები იუწყებიან, თუ საჭირო გახდა, ამ თანხას კიდევ 5 მილიონით გაზრდიან. *"კურანი მსოფლიო დონის თავდამსხმელია. თუ მას ვიყიდით, ჩემპიონთა ლიგაში თავაწეულები წარვსდგებით და გვექნება იმის შანსი, რომ ამ ტურნირს, რაც შეიძლება, დიდხანს შემოვრჩეთ ,"* - ეს ზიკოს სიტყვებია.

15 მილიონი ევრო - ეს თანხა "შალკეს" ბოს მიულერს ზეწოლის ქვეშ აქცევს. მით უმეტეს, რომ "ფენერი" მზადაა, კევინის სანაცვლოდ უფრო მეტიც გადაიხადოს. "შალკეს" ფული ნამდვილად არ აწყენდა, მაგრამ სპორტული თვალსაზრისით, ასეთი ნაბიჯის გადადგმა დიდი სისულელე იქნებოდა. კურანი ის ფეხბურთელია, რომელზეც გუნდის ფანები უდიდეს იმედებს ამყარებენ.

ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ კევინი განადგურებული იყო: მსოფლიოს ჩემპიონატის მიღმა დარჩენას თან ისიც დაერთო, რომ კურანის გელზენკირხენელმა ფანებმაც სტვენა დაიწყეს. ეს იმიტომ, რომ ფაქტობრივად, ვერაფერს ახერხებდა. დღეს კი გუნდის ლიდერი და ისეთი ფიგურაა, რომელსაც გადამწყვეტი სიტყვა ეთქმის. გუნდში ახალი იერარქიაა, კურანი კი, კაპიტან **მარსელო ბორდონთან** ერთად მის სათავეში გახლავთ მოკალათებული. მეტიც, კევინი უკვე გუნდის საბჭოშია და შესაბამისად, უფლება აქვს, რომ ხელმძღვანელები აკრიტიკოს, რისთვისაც არ დაისჯება.

სწორედ ამიტომ, მენეჯერი მიულერი მის გაყიდვას კატეგორიულად გამორიცხავს: *"დიახ, შემოთავაზება მართლაც არსებობს, მაგრამ აბა, კარგად შემომხედეთ, თვითმკვლელს ვგავარ? კურანი ბორდონთან და ერნსტთან ერთად გუნდის უმთავრესი ფიგურაა, არ არსებობს თანხა, რომლის სანაცვლოდაც მას შეველევით."*



და რას ფიქრობს თვითონ კურანი? *"ჩემთვის დიდი პატივია ის, რომ ისეთი ლეგენდარული პიროვნება და მწვრთნელი, როგორიც ზიკოა, თავის გუნდში მეპატიჟება. მაგრამ მე სერიოზული გეგმები მაქვს. წინ ევროპის ჩემპიონატია და აშკარაა, რომ "ფენერბაჰჩეში" გადასვლა უკან გადადგმული ნაბიჯი იქნება,"* - ამბობს **ლევან კობიაშვილის** თანაგუნდელი.

გოტფრიდ ლენცი



ბაიერნი

კანი კარიერის გაგრძელებას არ გამორიცხავს!

ვან ბომელს ოლიმპიადაზე არ უშვებენ...

ოლივერ კანმა ყველასთვის მოულოდნელი განცხადება გააკეთა - "ბაიერნის" ვეტერანი გოლკიპერი არ გამორიცხავს, რომ მომავალი სეზონის დასრულების შემდეგ ბუცების ლურსმანზე დაკიდებაზე უარი თქვას და აქტიური სპორტული კარიერა კიდევ ერთი წლით გააგრძელოს. შეგახსენებთ, რომ "ტიტანი" სულ ამბობდა, წყალი არ გაუვა იმას, რომ ფეხბურთიდან 2008 წელს ნავალო.

"ფეხბურთში წინასწარ ვერაფერს დაგეგმავ. აქამდე სულ ვფიქრობდი, რომ მომავალი სეზონი ჩემს კარიერაში უკანასკნელი იქნებოდა, მაგრამ ახლა ვხვდები, რომ გამორიცხული არაფერია. არ ვიცი რა მოხდება, ასე რომ, შეიძლება კიდევ ერთი წლით დავრჩე, - აცხადებს კანი და იქვე ამატებს, - *მაგალითად, სეზონის ბოლოს მიხაელ რენზიგმა რომ მძიმე ტრავმა მიიღოს, რასაც, ღმერთია მოწმე, არ ვისურვებ, ცხადია, კარიერის დასრულებაზე უარი უნდა ვთქვა."* ოლი ახლა მორიგ ავტობიოგრაფიულ წიგნს წერს, რომელსაც "კანის პრინციპი" ერქმევა. ამბობს, როცა წერა დავიწყე, პირველი გვერდის დასაწერად 5 საათი დამჭირდა, ახლა კი ერთ გვერდს ათ წუთს ვანდომებ ხოლმეო.

ამასობაში გაირკვა, რომ რეკორდმაისტერის ჰოლანდიელი ნახევარმცველი **მარკ ვან ბომელი** პეკინის ოლიმპიადაზე არ იასპარეზებს. როგორც იცით, ვან ბომელს ძალიან სურდა პეკინში ასპარეზობა და რაც მთავარია, მისი მიწვევა ჰოლანდიის ოლიმპიური ნაკრების თავკაც **ფოპე დე ჰაანსაც** გადაწყვეტილი ჰქონდა. მიზეზი ის გახლავთ, რომ ვან ბომელს ოლიმპიადაზე "ბაიერნი" არ უშვებს. *"სეზონი დაწყებული იქნება და ხელმძღვანელებმა მითხრეს, "ბაიერნს" ძალიან სჭირდებიო. რას ვიზამ - ეს ჩემთვის მისაღებია, მაგრამ გული მწყდება. ოლიმპიადა მსოფლიოს ჩემპიონატზე დიდი მოვლენაა და ძალიან მინდოდა, რომ ამ უდიდეს სპორტულ ზეიმში მონაწილეობა მიმეღო,"* - აცხადებს დამწუხრებული ვან ბომელი.

ამხანაგური მატჩი

პელე მინდორზე ბრუნდება

18 ივნისს, სამხრეთ აფრიკაში საინტერესო ამხანაგური მატჩი გაიმართება. ქეიფთაუნში აფრიკისა და დანარჩენი მსოფლიოს ვეტერანთა ნაკრებები გაეჯიბრებიან ერთმანეთს. ეს შეხვედრა **ნელსონ მანდელას** დაბადების დღეს ეძღვნება, რომელიც იმ დღეს 89 წლის შესრულდება.

მართალია, ვეტერანთა გუნდები ვახსენეთ, მაგრამ მინდორზე მოქმედი ფეხბურთელებიც გამოჩნდებიან, მაგალითად **სამუელ ეტო'ო, ლომანა ლუა ლუა, პედრო მანტორაში**...

მაგრამ ყველაზე საინტერესო ის არის, რომ მსოფლიო ნაკრებში თამაშს აპირებს ფეხბურთის მეფე - **პელე**. მიუხედავად იმისა, რომ ბრაზილიელი 66 წლისაა, ის თურმე შესანიშნავ ფორმაში იმყოფება და კარგა ხანი აპირებს მინდორზე ყოფნას.

გუნდების სრული შემადგენლობები კი ასე გამოიყურება:

მსოფლიოს ნაკრები: ანდონი სუბისარეტა; ზუბაიერ ბეია, კრისტიან კარამბე, გარი მებუტი, პატრიკ მ'ბომა, სანტოს მუნტუბილე, ლუკას რადებე; ალი დაეი, ემილიო ბუტრაგენიო, სტეფან შაპუიზა, იუსუფ ფოფანა, იულენ გერერო, რუუდ გულიტი, იო-სუნ კიმი, ლეონარდო, პელე, ფერნანდო რედონდო, ვინსტონ რუფერი, ივან სამორანო.

მწვრთნელები: როი ჰოჯსონი, კლოდ ლე რუა.

აფრიკა: ეზაკი ბადუ, ჟაკ სონგო'ო; აგუსტინ ეგუავონი, მარკ ფიში, სტივენ კეში, დოქტორ ხუმალო, დავიდ ობუა, სტეფან ტატავი, უჩე ოკეჩუკვუ; აბედი პელე, დანიელ ამოკაჩი, კალუშა ბვალია, სამუელ ეტო'ო, ჰოსამ ჰასამი, ლომანა ლუა ლუა, რაბახ მაჯერი, პედრო მანტორაში, ფილ მასინგა, ფრანსუა ომამ ბიიკი, დენის ოლიეში, სამსონ სიასია, ჯორჯ ვეა.

მწვრთნელები: ჟან ძანგა, იომო სონო.

ბაბელიც ლივერპულს დარჩა და ბენაიონიც

ᲐᲘᲐᲥᲡᲘᲡ **რაიან ბაბელის** საგას "ლივერპულმა" დაუსვა წერტილი - 20 წლის ფორვარდმა მერსისაიდულ კლუბში სამედიცინო შემოწმება გაიარა და ოთხშაბათს კონტრაქტს მოაწერა ხელი. ინგლისელებმა "აიაქსს" 17 მილიონი ევრო გადაუხადეს.

იმ დღეს, ბაბელი "ლივერპულის" ერთადერთი შენაძენი არ ყოფილა. **რაფა ბენიტესის** გუნდმა "ვესტ ჰემიდან" 7.5 მილიონ ევროდ ისრაელის ნაკრების ფლეიმეიქერი **იუსი ბენაიუნი** შეიძინა. ესპანელი მწვრთნელი ამ ტრანსფერის გამო აღფრთოვანებას ვერ მალავდა. *"ლივერპულის" გულშემატკივრებს კარგად ემახსოვრებათ, თუ როგორ ითამაშა მან ჩვენს წინააღმდეგ 2006 წლის ინგლისის თასის ფინალში. იმ დღეს, ბენაიოუნი შეუდარებელი იყო. სწორედ მაშინ მივხვდით, რომ ეს მოთამაშე მ'ზად იყო უფრო მაღალ დონე ზე სათამაშოდ",* - განაცხადა ბენიტესმა.

პატო მილანში ითამაშებს

ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲣᲠᲘ ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავი **ალეშანდრო პატო** იანვარში "მილანის" რიგებში ჩაირიცხება. ჟურნალისტებს ამის შესახებ ფეხბურთელის აგენტმა, **ჟილმარ ველოზმა** უამბო.

ეს უკანასკნელი "მილანის" ოფისში ორი დღის განმავლობაში აწარმოებდა მოლაპარაკებებს, რის შემდეგაც, მხარეებმა პატოს ტრანსფერის თაობაზე წინასწარ შეთანხმებას მიაღწიეს.

როგორც გითხარით, ნორჩი ბრაზილიელი იტალიაში იანვარში ჩავა, მანამდე კი, ბრაზილიის ჩემპიონატში "ინტერნასიონალის" რიგებში თამაშს გააგრძელებს. როგორც "გაძეტა დელო სპორტი" წერს, "მილანს" პატოს შეძენა 20 მილიონი ევრო დაუჯდება.

ფაულერი იორკთან მიდის

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ნაკრების ყოფილი ფორვარდი **რობი ფაულერი** ავსტრალიაში იმყოფება, სადაც იქაურ კლუბთან, "სიდნეისთან" მომავალი კონტრაქტის დეტალებზე აწარმოებს მოლაპარაკებებს.

როგორც "როიტერი" იტყობინება, ფაულერით რამდენიმე ინგლისური კლუბია დაინტერესებული, მაგრამ თავდამსხმელი, რომელსაც "ლივერპულთან" კონტრაქტის ვადა ამოეწურა, სავარაუდოდ, სწორედ ავსტრალიურ ლიგაში გაგრძელებს კარიერას.

სხვათა შორის, "სიდნეის" შემადგენლობაში ირიცხება "მანჩესტერ იუნაიტედის" ყოფილი ფორვარდი **დუაიტ იორკი**.

ვილტორი რენში მიდის

"ᲚᲘᲝᲜᲘᲡ" ფორვარდ **სილვენ ვილტორის** აგენტი **ფაბრის ენენ-ილერი** აცხადებს, რომ მისი კლიენტი შესაძლოა "რენში" გადავიდეს სათამაშოდ.

"სილვენს დიდი სპორტული ამბიციები აქვს. მას საფრანგეთში დარჩენა და ისეთ კლუბში თამაში აქვს გადაწყვეტილი, სადაც ძირითადში მოხვედრის გარანტია ექნება. "რენი" სწორედ ასეთი გუნდია. თანაც საგულისხმო იქნება ის მომენტი, რომ ვილტორი იმ კლუბში დაბრუნდება, სადაც ისწავლა კიდეც ფეხბურთის თამაში," - თქვა "ეკიპისთვის" მიცემულ ინტერვიუში ენენ-ილერმა.

მონტელა სამპდორიაში გაუშვეს

"ᲠᲝᲛᲐᲛ" თავის ვეტერან ფორვარდ **ვინჩენცო მონტელას** გენუის "სამპდორიაში" გადასვლის ნება დართო. იტალიის ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი დღეს დაბრუნდება შვებულებიდან, პარასკევს კონტრაქტს გააფორმებს და შაბათს, ახალ კლუბთან ერთად პირველ შეხვედრას გამართავს. ეს იქნება ამხანაგური მატჩი სამოყვარულო კლუბ "მონტი პალიდისთან".

მარკესმა კოპა ამერიკა დატოვა

დღეს ვენესუელაში, კოპა ამერიკაზე მესამე ადგილისთვის მატჩი უნდა გაიმართოს, რომელშიც ურუგვაის ნაკრები მექსიკას დაუპირისპირდება.

ამ შეხვედრაში მონაწილეობას არ მიიღებს მექსიკელთა კაპიტანი **რაფაელ მარკესი**. "ბარსელონას" ცენტრალურმა მცველმა უკვე დატოვა ვენესუელა და ამის მიზეზად დაღლილობა დაასახელა.

"ვესაუბრე ნაკრების მწვრთნელსა და დირექტორს და ერთად გადავწყვიტეთ, ჩემი გუნდიდან წასვლა. მინდა, ახალ სეზონს 100 პროცენტით ჯანმრთელი შევხვდე. გასულ წელს, ჩემი ფიზიკური ფორმა შორს იყო იდეალურისგან და ახლა ამის გამო ძალიან ვნერვიულობ. თანაც, დამდეგ წელიწადს, "ბარსელონას" ძირითადში მოსახვედრად არნახული კონკურენცია იქნება", - ამბობს მარკესი.

სუპერთასი ერთი დღით აღრე

ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘᲡ ფეხბურთის ფედერაციამ დააკმაყოფილა "სევილიას" თხოვნა და შეცვალა ქვეყნის სუპერთასის პირველი მატჩის ჩატარების თარიღი. შეგახსენებთ, რომ თასის მფლობელი "სევილია" ორრაუნდიან ბრძოლაში ესპანეთის ჩემპიონ "რეალს" დაუპირისპირდება.

უეფას თასის მფლობელთა ბანაკიდან იტყობინებიან, რომ მათ ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპისთვის (მატჩები 14/15 აგვისტოს გაიმართება) მოსამზადებლად მეტი დრო სჭირდებათ. ამიტომაც, ესპანური სეზონის გახსნა სევილიაში არა 12, არამედ 11 აგვისტოს შედგება. სუპერთასის განმეორებითი შეხვედრა კი, "სანტიაგო ბერნაბეუზე" 19 აგვისტოს გაიმართება.

რაულ ბრავო ოლიმპიაკოსს ერგო

ᲡᲐᲑᲠᲫᲜᲔᲗᲘᲡ ჩემპიონმა "ოლიმპიაკოსმა" მომავალი სეზონისთვის მადრიდის "რეალიდან" მარცხენა მცველი **რაულ ბრავო** დაიმატა. ბერძნებმა "სამეფო კლუბს" 2.3 მილიონი ევრო გადაუხადეს და 26 წლის ბრავოსთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმეს.

ამ ფეხბურთელს "რეალში" დებიუტი 2001 წლის ოქტომბერში ჰქონდა და იქედან მოყოლებული, მადრიდელთა რიგებში მხოლოდ 77 მატჩი ჩაატარა.

ვან პანეგემი უტრეხტს გაწვრთნის

ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚ სეზონში ჰოლანდიის "უტრეხტს" ახალი მწვრთნელი ეყოლება. ეს გახლავთ წარსულში ჰოლანდიის ნაკრების ლეგენდარული ფეხბურთელი **ვილი ვან ჰანეგემი**, რომელიც სხვადასხვა წლებში მწვრთნელად მუშაობდა "ფეიენორდში", როტერდამის "სპარტასა" და "ალკმაარში", აგრეთვე იყო ჰოლანდიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის ასისტენტი.

"როიტერის" ცნობით, 63 წლის სპეციალისტმა ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

არსენალის მორიგი ფრანგული ტრანსფერი

"ᲐᲠᲡᲔᲜᲐᲚᲘᲡ" ფრანგულ ლეგიონს კიდევ ერთი ნევრი შეემატა. ამ კლუბთან მრავალწლიანი კონტრაქტი გააფორმა "ოსერის" 24 წლის მცველმა **ბაკარი სანიამ**. ეს ინფორმაცია ლონდონური კლუბის პრეს-სამსახურმა გაავრცელა, თუმცა ხელშეკრულების დეტალების გამხელისგან თავი შეიკავა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამარჯვებიდან ერთი წლის შემდეგ. ინტერვიუ მარჩელო ლიპისთან

ჩემი იტალია იყო მონოლითი, რომლის დანგრევა არავის შეეძლო

მუდმივად მოგონებებით ცხოვრებას არ ვაპირებ

იტალიის ნაკრების სამუნდიალო ტრიუმფიდან წელიწადი გავიდა. ამ გამარჯვების ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი, მარჩელო ლიპი, დღეს უმუშევარია. მაგრამ ეს მისი ნებაა. მიუხედავად უამრავი შეთავაზებისა, ლიპი საქმიანობის განახლებას ჯერ არ აპირებს. არც ის იცის, სად იმუშავებს მომავალში - საკლუბო ფეხბურთში დაბრუნდება თუ რომელიმე ამბიციური ქვეყნის ეროვნულ გუნდს ჩაუდგება სათავეში. ერთი რამ კი დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ლიპის თავისი შესაძლებლობები ჯერ არ ამოუწურავს. საკლუბო და სანაკრებო დონეზე მან უმაღლესი ჯილდოები მოიგო და, შეიძლება, დასვენებაც იმად გადაწყვიტა, რომ ახალი გამარჯვებებისთვის დაიმუხტოს...

მსოფლიო ჩემპიონატზე გამარჯვების წლისთავი იტალიურმა პრესამ მარჩელო ლიპისთან ინტერვიუთიც აღნიშნა. ვიარეჯოელი ტაქტიკოსი "გაძეტა დელო სპორტის" ფურცლებზე გამოჩნდა...

- ლიპი, მსოფლიო ჩემპიონატის ფინალიდან წელიწადი გავიდა. რა დარჩა დღეს იმ ტრიუფმიდან?

- ის გამარჯვება თავის ფასს ვერასოდეს დაკარგავს, ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის ასეა. მესმის, რომ სხვებმა, შეიძლება, მომხდარს სხვა შეფასება მისცენ. თუმცა ფაქტია, რომ მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ფეხბურთსა და ყოველდღიურ ქაოსში დაბრუნება ვერ შევძელი. ახლა ფანტასტიკური მოგონებებით ვცხოვრობ და ვისვენებ, ვუყურებ ვიდეოჩანაწერებს... რაღაც მომენტებს თავიდან ვუღრმავდები... რაც შეეხება იმას, თუ რა დარჩა... დარჩა უდიდესი გამოცდილება, სიხარულის გრძნობა და განუმეორებელი ემოციები. ამ ყველაფერს საკუთარ თავში ვინახავ.

- ესე იგი, ჯერაც გამარჯვებით ტკბებით. ამიტომ თქვით უარი მრავალრიცხოვან შეთავაზებებზე?

- ფეხბურთის გარეშე ცნობილი მიზეზების გამო ვრჩები (შეგახსენებთ, რომ სისხლის სამართლის საქმეა აღძრული საბრანსფერო სააგენტო GEA World-ის მიმართ, რომლის ერთ-ერთი ხელმძღვანელი მარჩელოს ვაჟი დავიდე გახლავთ - რედ), გამარჯვებებით ტკბობა აქ არაფერ შუაშია. ჩვენი მუნდიალი ერთი თვე კი არა, ორი წელიწადი გრძელდებოდა. დიახ, ეს იყო ორი ბრწყინვალე წელიწადი, რომელმაც ადამიანური, მორალური და პროფესიული თვალსაზრისით, უდიდესი კმაყოფილება მოგვიტანა. გამარჯვება იყო ნაყოფი მთელი სანაკრებო პერსონალის თავდაუზოგავი მუშაობისა და ამიტომ, ყველას მადლობა უნდა ვუთხრა - დაწყებული კაპიტნით და მზარეულით დამთავრებული. დარწმუნებული ვარ, რომ იტალიის დღევანდელი ნაკრები ნარმატებულ სვლას გააგრძელებს, რადგან ფსიქოლოგიური ფუნდამენტი, რომელიც ჩვენ შევქმენით, ჯერ ისევ მყარია.

- შედარებებს ვერ გავექცევით. რომელი ფორმაციის ნაკრები სჯობდა: 1982 წლის ჩემპიონი თუ თქვენი?

- რომც მანამონ, მაინც არ გავაკეთებ არჩევანს 1982 წლის ნაკრების სასარგებლოდ. რა თქმა უნდა, ჩემი გუნდი უკეთესი იყო, მეტიც, ეს ფანტასტიკური გუნდი იყო, ნამდვილი გუნდი... შესაძლოა, მაშინდელ გამარჯვებას მეტი ეფექტი ჰქონდა, რადგან მას შემდეგ ჩვენი საზოგადოება ძალიან შეიცვალა. შეიცვალა ცხოვრების ტემპიც. ახლა, ხალხში ემოციები შედარებით მალე ქრება... მსოფლიო ჩემპიონატზე გამგზავრებამდეც და მას შემდეგაც, როცა ბერლინიდან დავბრუნდით, იტალიურ საფეხბურთო სამყაროს მეტად მძიმე პრობლემები ჰქონდა გადასაჭრელი. შესაძლოა, ამანაც გააფერმკრთალა ის სიხარული, მაგრამ ეს მე არ მეხება. ყოველ დილით იმ დღეების მოგონებებით ვიღვიძებ. ის ჩემპიონატი ხალხის მეხსიერებაშიც რჩება. ამასწინათ, რამდენიმე უნივერსიტეტში მიმიწვიეს. სტუდენტები ჩემდამი უსაზღვრო სითბოს ამჟღავნებდნენ. და ეს არ იქნებოდა, მსოფლიო ჩემპიონატი რომ არ მოგვეგო.

- ...თუმცა ფეხბურთის ფედერაციამ ვერ შეძლო გამარჯვების ეფექტით სარგებლობა...

- უცხოური ფედერაციებიდან უამრავ წინადადებას ვიღებდი და ვხედავდი, რაოდენ პატივს სცემდნენ ისინი იტალიურ ფეხბურთს. ხანდახან, საკუთარ ფეხბურთს თავადვე ვაგდებთ უხერხულ მდგომარეობაში, თორემ უცხოეთში, ვიმეორებ, დიდ პატივს გვცემენ. აი, მაგალითად, ერთი ჩინოსანი მეუბნება - დიახ, თქვენ სერიოზული პრობლემები გაქვთ, მაგრამ დღეს ხომ პრობლემებით ვერავის გააკვირვებ? მიუხედავად ამისა, თქვენ, იტალიელები, ყოველთვის პოულობთ საკუთარ თავში ვაჟკაცობას, რათა ეს პრობლემები გადაწყვიტოთო...

- თქვით, რა არის ის, ყველაზე ფასეული, რაც მსოფლიო ჩემპიონატმა დატოვა?

- ყველაფერი ბრწყინვალე და ჯადოსნური იყო პირველიდან ბოლო დღის ჩათვლით. ჩვენ ადექვატურად მივიღეთ პრობლემები და მერე, ჩვენი ენერგია საჭირო კალაპოტში მივმართეთ... და შედეგად, ჩემპიონები გავხდით. ეს იყო ყველაფერი.

- ...მაგრამ გაუგებრობების გარეშეც არ ყოფილა. მაგალითად, როცა გატუზომ და რამდენიმე ფეხბურთელმა მოგთხოვეს, თავდასხმის შეკვეცის ხარჯზე ნახევარდაცვა გაგეძლიერებინათ...

- ეს უბრალოდ, თქვენებური ინტერპრეტაციაა. სინამდვილეში, რამდენიმე ფეხბურთელმა ჩემი გადაწყვეტილება გაახმოვანა. ვაპირებდით, გვეთამაშა ტოტითა და ორი ფორვარდით, მაგრამ უნდა გამეთვალისწინებინა, რომ ფრანჩესკო საუკეთესო ფორმაში არ იყო. ამას გარდა, მხედველობაში უნდა მიმეღო მეტოქის სათამაშო მონაცემებიც. ჩეხეთთან მატჩამდე ვიცოდით, რომ გამარჯვების შემთხვევაში, ჯგუფში პირველ ადგილს დავიკავებდით და ბრაზილიას ავცდებოდით. მეორე მხრივ, ისიც ვიცოდით, რომ ფრეც საკმარისი იქნებოდა. და ვკითხე ჩემს თავს - რატომ დავუთმო მეტოქეს შუა ხაზი? ასე მივედით ახალ სქემასთან, რომლის თანახმადაც, ტოტი და კამორანეზი ერთი თავდამსხმელის უკან განლაგდებოდნენ...

- მერე იყო უმძიმესი მატჩი ავსტრალიასთან...

- ამასთან, ეს იყო გარდამტეხი გამარჯვება, რის შემდეგაც ბიჭებს ვარწმუნებდი, რომ რეალურად შეგვეძლო მუნდიალის მოგება. სხვათა შორის, თავიდანვე მჯეროდა გამარჯვების, რადგან ვხედავდი, რომ ჩემი ფეხბურთელებისთვის გადაუჭრელი ამოცანა არ არსებობდა, მათ ნებისმიერი გუნდის დამარცხება შეეძლოთ... მაგრამ შემიძლია დაბეჯითებით ვთქვა, რომ ავსტრალიასთან მოგება მთავარი მომენტი იყო. წარმოიდგინეთ, 10 კაცით ვთამაშობდით და მცირეოდენ რისკზეც კი არ მივდიოდით... ამ მატჩში მოედანზე იყო ერთიანი, ძლიერი, გამარჯვების ფასის მცოდნე გუნდი, რომლის შემადგენლობაშიც უდიდესი ოსტატები თამაშობდნენ.

- გროსო გახდა სიმბოლო იმ გუნდისა, რომელმაც ყველა მოლოდინს გადააჭარბა...

- დიახ, გროსო იყო განსახიერება იმ უდიდესი, თავდაუზოგავი, და ამავე დროს, სასიამოვნო შრომისა, რასაც ორი წლის განმავლობაში ვეწეოდით. ჩვენ მივაღწიეთ თავდაჯერების უმაღლეს წერტილს, რომელიც ერთხელაც არ გადაზრდილა ამპარტავნობაში. ამას გარდა, თითოეულმა ფეხბურთელმა საკუთარი შესაძლებლობის მაქსიმუმი აჩვენა.

- და მაინც, მიუხედავად რწმენისა, რომელი მეტოქის გეშინოდათ?

- ჩემპიონატის დაწყებამდე ფავორიტად ყველას ბრაზილია მიაჩნდა. თუმცა მერე მოვლენები სხვაგვარად განვითარდა და მომეჩვენა, რომ უკეთესი შანსი არგენტინას ჰქონდა. მაგრამ მათ არ გაუმართლათ გერმანიასთან მატჩში. სხვა შემთხვევაში, არგენტინასთან უმძიმესი თამაში გვექნებოდა...

- იტალიაში, გერმანელებთან გამარჯვება ბევრმა გაცილებით ემოციურად აღიქვა, ვიდრე ფინალში ფრანგების ძლევა. რა ახსნა შეიძლება ჰქონდეს ამას?

- აბსოლუტურად ვიზიარებ ამგვარ განწყობას. იმ საღამოს, გერმანელი გულშემატკივრებით გადაჭედილ სტადიონზე, ერთკვირიანი ანტიიტალიური აგიტაციის საპასუხოდ, დორტმუნდში ფეხბურთის ნამდვილი გაკვეთილი ჩავატარეთ. ამ გამარჯვების შემდეგ, საბოლოო ტრიუმფზე ყოველგვარი ეჭვი გამიქრა.

- როგორ, საფრანგეთს სათანადოდ არ აფასებდით?

- არა, უბრალოდ, დარწმუნებული ვიყავი ჩემი გუნდის სიძლიერეში. გავიხსენე, რომ 1998 წელს ფრანგებმა მუნდიალიდან პენალტების სერიით გამოგვგადეს, ორი წლის შემდეგ კი, ევროპის ჩემპიონატის დრამატულ ფინალში, ფაქტობრივად, ტიტული ცხვირწინ აგვაცალეს... მჯეროდა, რომ ახლა ბედი ჩვენ გაგვიღიმებდა. და ასეც მოხდა.

- ზიდანის გაძევებაც იმ ჯადოსნური ღამის ელემენტი იყო?

- იცით, სხვებისგან განსხვავებით, ის სიტუაცია საკმაოდ მშვიდად შევაფასე, რადგან ზიდანის მწვრთნელი ვიყავი და კარგად ვიცნობ მას, როგორც ფეხბურთელსა და როგორც ადამიანს. ძალიან მწყდება გული, რომ საფეხბურთო გზა ასე დაასრულა, თუმც სულაც არ ვფიქრობ, რომ ეს რამენაირად ჩრდილს მიაყენებს მის გენიალურ კარიერას... და რაც შეეხება თქვენს კითხვას, არა მგონია, რომ ამ გაძევებამ საბოლოო შედეგზე გავლენა იქონია. ეს იყო მხოლოდ ბოლო ხუთი წუთი. იმ მომენტში უკვე ყველა პენალტების სერიაზე ვფიქრობდით. შესაძლოა, ზიზუ რომ მოედანზე ყოფილიყო, ტრეზეგეს აღარ დაერტყა... მაგრამ ეს მხოლოდ ვარაუდებია.

- კიდევ რას უკავშირდება ყველაზე სასიამოვნო შრომენებები?

- იმ ხალხის ადამიანურ თვისებებს, ვისთანაც ორი წლის განმავლობაში ვმუშაობდი.

- გამარჯვების გზაზე ყველაზე რთული მომენტი რომელი იყო?

- ის ერთი კვირა, რომელიც კოვერჩანოში მუნდიალზე გამგზავრებამდე გავატარეთ. ბიჭები თავდავიწყებით ვარჯიშობდნენ, ოფლს ღვრიდნენ და ყურადღებას არ აქცევდნენ იმას, რაც ჩვენს გარეთ, იტალიურ ფეხბურთში ხდებოდა. არადა, ნამდვილად მქონდა იმის შიში, რომ ეს ყველაფერი ბიჭებზე ცუდად იმოქმედებდა. და მოხდა პირიქით, ძნელმა პერიოდმა ერთ მუშტად გაგვაერთიანა.

- როგორ გგონიათ, შესაძლებელია იმ სასწაულის გამეორება?

- ხანდახან მეც ვფიქრობ ამაზე... გამოგიტყდებით და, არ ვიცი. იმ გუნდს რაღაც მაგია ჰქონდა. მაგალითად, ტრავმას იღებს ნესტა და მას ცვლის მატერაცი, რომელიც მატჩის გმირი ხდება. ჩვენ დავანახვეთ ყველას, თუ რას ნიშნავს დღევანდელ ფეხბურთში გუნდური სულისკვეთება. ჩემი ბიჭები ჭეშმარიტი ჩემპიონები არიან. ბუფონი, კანავარო, გატუზო, ძამბროტა... ეს იყო ერთი დიდი მონოლითი, რომლის დანგრევა ვერავინ შეძლო. როცა საუბრობენ ვარსკვლავებზე, ბევრს ამ ცნების ქვეშ შეცდომით წარმოუდგენია ფეხბურთელი, რომელსაც... ვთქვათ, ქუსლით გააქვს გოლები. სინამდვილეში, სხვაგვარადაა. ნამდვილი ვარსკვლავები ჩემი ფეხბურთელები არიან.

- ძნელი იყო ტოტიზე აქცენტის გაკეთება, იმ პირობებში, როცა ის მხოლოდ 50 პროცენტით იყო მზად?

- გუნდი მას მხარს უჭერდა. ფეხბურთელებმა იცოდნენ, რომ ტოტის ოსტატობას ფასდაუდებელი მნიშვნელობა ჰქონდა. მახსოვს ის დღე, ტრავმირებული ტოტის სანახავად რომის ჰოსპიტალში რომ მივედი. ის შემპირდა - ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ჩემპიონატის დაწყებამდე ფეხზე დავდგეო. და მან სიტყვა შეასრულა. დიახ, ის არ იყო მზად მუნდიალისთვის და ამიტომაც ხშირად ვცვლიდი. მეტიც, ავსტრალიასთან მატჩში ძირითადშიც არ დავაყენე. თუმცა კი პირობა მივეცი, რომ აუცილებლად ვათამაშებდი. მართვის ჩვენეული სისტემა შეუუცდომლად მუშაობდა. და ამ დროს, ჟურნალისტების მხრიდან კრიტიკა აბსოლუტურად უსაფუძვლო იყო. ჩვენ ეს დავამტკიცეთ კიდეც...

- 1982 წელს იტალიას წარმატება პაოლო როსის გოლებმა მოუტანა. ამჯერად, "სკუადრა აძურასს" არ ჰყავდა გამოკვეთილი ბომბარდირი...

- დიახ, არ გვყავდა, მაგრამ ნახეთ, რამდენმა ფეხბურთელმა გაიტანა გოლი ფინალურ ეტაპზე, ლამის ყველამ, გარდა ბუფონისა. და ესეც ხომ გუნდური სულისკვეთების კიდევ ერთი დასტურია? 23 ფეხბურთელიდან 21 ვათამაშე. დააკვირდით: გამოდის ბარძალი და ბრწყინვალედ თამაშობს, გამოდის იაკუინტა და გოლი გააქვს, გამოდის გროსო და გმირი ხდება... ეს ნიშნავს, რომ გაიმარჯვა გუნდმა და არა რომელიმე ერთმა ან ორმა ფეხბურთელმა. კიდევ ერთ მაგალითს მოგიყვანთ: ვინ იტყვის, რომ ბრაზილიას ვარსკვლავები აკლდა? მაგრამ დაკარგა კონცენტრაცია რაღაც მომენტში და ტურნირს დაემშვიდობა...

- ნანობთ, პოსტი რომ დატოვეთ?

- შესაძლოა, რადგან ეს გადაწყვეტილება არ ყოფილა თავისუფალი ადამიანის არჩევანი და არც კარგად მოფიქრებული. რომ არა პერსონალური მიზეზები და რომ არა ის თავდასხმები, რაც ჩემ მიმართ კოვერჩანოში შეკრების პირველივე დღიდან ხდებოდა, ნამდვილად დავრჩებოდი.

- თუმცა არ შეიძლება მუდმივად მოგონებებით ცხოვრება...

- ...და არც ვაპირებ ამას. რამდენიმე თვეში მზად ვიქნები, რომ დავბრუნდე და არჩევანი შევაჩერო იმ პირველივე კლუბზე, რომელიც დამიკავშირდება და სერიოზულ პროექტს შემომთავაზებს.

- უცებ რომ ნაკრებში დაგიძახონ?

- არა, ნაკრებში საჭირო აღარ ვარ. მას ჰყავს მწვრთნელი, რომელიც საქმეს შესანიშნავად უძღვება. ამ ბიჭებს, მსოფლიო ჩემპიონებს, ტიტულის მაგია მუდამ თან დაჰყვება...

ინტერვიუ კარლოს დუნგასთან

მთავარია, რომ მოვიგეთ

დუნგას გუნდს თამაშის ხარისხს უწუნებენ

ურუგვაის ეროვნული გუნდის დამარცხების წყალობით, ბრაზილიის ნაკრები კოპა ამერიკის ფინალში მეხუთედ გავიდა. "სელესტესთან" "სელესაოს" უმძიმესი ორთაბრძოლის გამართვა მოუხდა. ოსკარ ტაბარესის შეგირდები ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტს არაფერს უთმობდნენ. მოგეხსენებათ, ნახევარფინალის შედეგი საყაიმო იყო (2:2). პენალტების სერიაში კი კარლოს დუნგას ბიჭებს უფრო გაუმართლათ და ფინალში გააღწიეს. ეს ამბავი, რა თქმა უნდა, უდიდესი წარმატებაა, მაგრამ ბრაზილიური პრესა მთავარი მწვრთნელის მიმართ კვლავ უკიდურესად კრიტიკულადაა განწყობილი. ცხადია, დუნგამ შესანიშნავად იცის, რა დამოკიდებულება ამოძრავებს მის მიმართ ჟურნალისტთა კორპუსს. ის დარწმუნებული გახლდათ, რომ მედიელები მწვავე კითხვებს დაუსვამდნენ, მაგრამ მათთან შეხვედრისგან თავის არიდება აზრადაც არ მოსვლია. "სელესაოს" თავკაცი ვალდებული იყო, საგანგებო პრესკონფერენცია გაემართა.

- ფინალში გახვედით. როგორ განწყობაზე ხართ?

- სანამ ჩემს განწყობაზე ვისაუბრებდე, მსურს, ფეხბურთელებს უდიდესი მადლობა გადავუხადო. ყველამ დაინახეთ, რომ ურუგვაელი შეხვედრის გამართვა მოგვიწდა. როცა საქმე პენალტების სერიამდე მიდის, ყველაფერი შეიძლება მოხდეს... თუმცა აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ჩემმა ბიჭებმა 11-მეტრიანი დარტყმები შესანიშნავად შეასრულეს. ისინი ამ კრიტიკულ და დაძაბულ მომენტშიც თავდაჯერებულები იყვნენ. უკლებლივ ყველამ დაამტკიცა, რომ ბრაზილიის ნაკრები უზომოდ უყვართ და მისი კეთილდღეობისთვის თავსაც გაწირავენ. ჩვენს ფეხბურთელებს "სელესაოს" მაისურის ჩაცმა ეამაყებათ. ვფიქრობ, ეს ძალიან მნიშვნელოვანია. უმადურება ჩემს ხასიათში არ ზის, ამიტომ გუნდს მართლაც გულწრფელ მადლობას მოვახსენებ.

- ვატყობ, მეტისმეტად აღფრთოვანებული ხართ, მაგრამ უნდა აღიაროთ, რომ ნაკრებმა არადამაჯერებლად იასპარეზა. თამაშის ხარისხი ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებდა...

- ყოველი ახალი მატჩი ახალი ისტორიაა. სწორი დასკვნების გამოსატანად დეტალებში შეღწევაა საჭირო. არ მგონია, ბანალური ხასიათის კრიტიკას რაიმე სარგებელი მოჰქონდეს. მოვიგეთ და მთავარი სწორედ ესაა. პირველი გოლი ჩვენ შევაგდეთ. მეორე ბურთიც რომ გაგვეტანა, 2:0 დავწინაურებულიყავით და ძირითად დროში მოგვეგო, დარწმუნებული ვარ, კრიტიკა გაცილებით მსუბუქი იქნებოდა... ან სულაც არავინ გაგვაკრიტიკებდა. არადა, შედეგი ხომ იგივეა, მოვიგეთ. ურუგვაის სახით წარმოუდგენლად რთული, უხერხული და თავმოყვარე მოწინააღმდეგე გვყავდა. ყოველ შეხვედრას შთამბეჭდავი ფეხბურთით ვერ მოიგებ. ბედნიერი გახლავართ, რომ ბიჭებს ყველა ის უნარი აღმოაჩნდათ, რომელთა გარეშეც დიდ გამარჯვებებზე ოცნებაც კი უტოპიაა. მათ იციან ურთულესი თამაშები როგორ უნდა მოიგონ.

- არ დაგიმალავთ და პირდაპირ გეტყვით: მეჩვენება, რომ დემაგოგიური დისკურსით უხერხული სიტუაციიდან თავის დაძვრენას ცდილობთ. რატომ არ აღიარებთ, რომ ბრაზილიის ნაკრები შეუთამაშებელია. ფეხბურთელებმა ხშირად თავადაც არ იციან, რას აკეთებენ. ხომ არ ფიქრობთ, რომ ძალიან გაგიმართლათ? იღბალი რომ არა, ფინალში ვერ გახვიდოდით...

- თქვენი ნებაა იფიქროთ ისე, როგორც თავად გსურთ, იფიქროთ... თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ჭეშმარიტებას მიაგენით. ნუთუ ვერ ხედავთ, რის ფასად იგებენ ფეხბურთელები თამაშებს? ნაკრების წევრთა აბსოლუტური უმრავლესობა "სელესაოში" გადაღლილი და დაქანცული გამოცხადდა. მათ მხრებს უმძიმესი საკლუბო სეზონის ჯოჯოხეთური ტვირთი დღესაც ამძიმებს. მიუხედავად ყველაფრისა, ბიჭები შეკრებაზე დროულად ჩამოვიდნენ და თავგანწირულად ითამაშეს. ხვდებით, რას ნიშნავს ეს? თქვენს უმრავლესობას პროფესიული ფეხბურთი არასოდეს უთამაშია. მით უმეტეს, ევროპაში. ალბათ, ვერასოდეს გაიგებთ რაოდენ რთულია პრიმერა დივიზიონში, სერია A-ში, პრემიერლიგასა და ჩემპიონთა ლიგაში გამართული უამრავი დაპირისპირების შემდეგ შვებულებაზე უარის თქმის ფასად კოპა ამერიკაზე ასპარეზობა. დასვენების დრო არავის ჰქონია. ამ ყველაფრის შემდეგ დაუვიწყარი სპექტაკლების მოთხოვნა, რბილად რომ ვთქვათ, დიდი უსამართლობაა.

- კარლოს დუნგა ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელია. არ მეგონა, თუ იმის შეხსენება დამჭირდებოდა, რომ ბრაზილიელი ხალხი საკუთარი ქვეყნის ეროვნული გუნდისგან მუდამ საჩახაობრივ, ლამაზ შემტევ ფეხბურთს ითხოვს.

- მესმის, მაგრამ თქვენც უნდა გაიგოთ, რომ ყოველთვის ერთნაირად ვერ ითამაშებ. არსებული რთული რეალობიდან უნდა გამოვიდეთ. ვიმეორებ, ბიჭები კლუბების ბოლო ტურის შეხვედრებიდან პირდაპირ აეროპორტებში წავიდნენ და ნაკრებს შეუერთდნენ.

- მსოფლიო ჩემპიონატიც საკლუბო სეზონის დასრულების შემდეგ იწყება. გამოდის, მუნდიალზეც ვერ ვიხილავთ ნამდვილ ბრაზილიურ ფეხბურთს?

- ფაქტებს ნუ აურევთ. მსოფლიო ჩემპიონატის წინ ფეხბურთელებს დასვენებისთვის უფრო მეტი დრო აქვთ. ამჯერად ისე მოხდა, რომ რობინიომ ფაქტობრივად, ერთი დღეც ვერ დასვენა. ვაგნერ ლავმა ერთ დღეს მოსკოვში ივარჯიშა, 24 საათის შემდეგ კი ტერესეპოლისში.

- უბრალოდ მეცინება, განა, ბრაზილიის ეროვნული გუნდი მხოლოდ რობინიო და ვაგნერ ლავია?

- რა თქმა უნდა, არა, მაგრამ ისინი დღეს უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ.

- დუნგა, "სელესაოს" ძირითად ბირთვს საკმარისი დრო ჰქონდა იმისთვის, რათა დაესვენა და ძალები მოეკრიბა. კარგით, ამას თავი დავანებოთ...

- ერთი წუთით, ერთი წუთით. იცით, რას გეტყვით? მათ ყველანაირი მორალური უფლება ჰქონდათ, ვენესუელის სტადიონებზე ოფლის ღვრის ნაცვლად ოჯახის წევრებთან ერთად ფეშენებელურ კურორტებზე დაესვენათ. მერწმუნეთ, შვებულება ჰაერივით სჭირდებოდათ.

- რადგან თავად ისურვეთ, თავს უფლებას მივცემ შეგეკამათოთ. არც ერთ ფეხბურთელს არ აქვს უფლება ნაკრებში თამაშის გამო თავი დაგვადლოს. გარდა ამისა, ისიც უნდა ითქვას, რომ დასვენებული მოთამაშეები არგენტინასაც არ ჰყავს. რამდენი ერთი ჩამოვთვალო, აიმარი, მესი, მილიტო, აიალა... სხვათა შორის, ასევე გადაღლილი "ალბისელესტე" ფანტასტიკურ ფეხბურთს თამაშობს...

- მოდით, სხვა ნაკრების თამაშის ხარისხს ნუ შემაფასებინებთ. მე მხოლოდ ბრაზილიაზე შემიძლია ვისაუბრო. არ შემიძლია, გულდაწყვეტით არ გავიხსენო ის ფაქტი, რომ რონალდინიომ და კაკამ ჩამოსვლა არ ისურვეს. ამ ფაქტის გათვალისწინებით მსურს, კიდევ ერთხელ გამოვხატო იმ ბიჭებით აღფრთოვანება, რომლებმაც უდარდელ დღეებს ტკივილითა და ტანჯვით აღსავსე დღეები ამჯობინეს.

- მოგეწონათ ის ტაქტიკური მონახაზი, რომელიც ურუგვაისთან გამოიყენეთ?

- როგორც ჩანს, ძალიან გინდათ ისეთი შთაბეჭდილება შექმნათ, რომ ბრაზილიამ საშინლად ითამაშა. არა ბატონო, რამდენიც არ უნდა ამტკიცოთ, ბევრ მხარდამჭერს მაინც ვერ მოუყრით თავს. დიახ, ურუგვაისთან გამოყენებული ტაქტიკა ძალიან მომეწონა. მიმაჩნია, რომ სწორი სტრატეგია შევიმუშავეთ. თქვენგან განსხვავებით სულაც არ ვფიქრობ, რომ ცუდად ვიასპარეზეთ. პირიქით, ჩემმა ბიჭებმა საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვეს.

- ყველაზე მეტად რომელი შეგირდი მოგეწონათ?

- ყველა მოწოდების სიმაღლეზე იდგა. ვიცი, მკითხავთ, მაშინ ორი გოლი როგორღა გავუშვითო. დაგასწრებთ და მოგახსენებთ, რომ უშეცდომო გუნდი ან მოთამაშე არ არსებობს. 1994 წლის მუნდიალზე ჰოლანდიასთან მატჩში ჩვენც გაგვიტანეს ორი ბურთი, მაგრამ ის გუნდი მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. დიდი იმედი მაქვს, რომ "სელესაო" ამჯერად კოპა ამერიკაზე გაიმარჯვებს.

დუნგას მესის აჩრდილი დასდევს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დენის რომედალი

ხეტაფე

მადრიდელები ეკლესიამ მკრეხელობაში ამხილა

ანხელ ტორესმა უსტარი გადაიბირა. ახლა პრეზიდენტის სიაში დენის რომედალია

ბერნდ შუსტერის მიერ მიტოვებული "ხეტაფე" შესაძლოა, ღმერთმაც მიატოვოს. საქმე ის არის, რომ მადრიდულ კლუბს ესპანეთის კათოლიკური ეკლესიის უმაღლესი იერარქები დაუპირისპირდნენ. "ხეტაფეს" საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა გუნდის პოპულარობის გაზრდის მიზნით, სარეკლამო რგოლი დაამზადეს. ეკლესიის მესვეურებს ეჩვენათ, რომ მკრეხელობასთან ჰქონდათ საქმე. შეეცდებით, სცენარი მოკლედ გაგაცნოთ: ქრისტეს მისი მოციქულები ზურგს შეაქცევენ და ეტყვიან, ჩვენ არ ვართ შენი ერთგულები. ფეხბურთზე გვეჩქარება, დღეს "ხეტაფე" მნიშვნელოვან მატჩს ატარებსო.

ლიბერალური დემოკრატიის ქვეყანაში ამ სარეკლამო რგოლს სკანდალი არ უნდა გამოეწვია, მაგრამ ესპანეთში კათოლიკური ეკლესია სერიოზულ გავლენას ინარჩუნებს და როცა დემოკრატია, გამოხატვის თავისუფლება, ლიბერალიზმი და ეკლესიის ორთოდოქსალური შეხედულებები ერთმანეთის გზებს უხეშად კვეთენ, სასულიერო პირები ყოველთვის ხმას იმაღლებენ. აი, როგორი შეფასება შემოგვთავაზა კარდინალმა **პადრე ბაზილიომ**: *"არ შეგვიძლია, აღშფოთება არ გამოვხატოთ იმ მკრეხელური პროექტის გამო, რომელიც საფეხბურთო გუნდის მესვეურებმა ტელევიზიების საშუალებით სააშკაროზე გამოიტანეს. ეკლესია ამას ვერ შეეგუება. ბუნებრივია, არანაირი სამართლებრივი ბერკეტი არ გვაქვს იმისთვის, რომ მათ რეკლამის ეთერიდან ამოღება ვაიძულოთ. უბრალოდ, როგორც ჩვენი ეკლესიის შვილებს მოვუწოდებთ, აღებულ გზაზე უარი თქვან და სხვა სახის პროექტით სცადონ გუნდის პოპულარიზება. ქრისტეს მოციქულები ადამიანებისგან ამგვარ მოპყრობას არ იმსახურებენ. მეტი პატივისცემა და თავმდაბლობა გვმართებს."*

"ხეტაფეს" პრეზიდენტი, კარდინალების რეაქციამ სერიოზულად შეაშფოთა. **ანხელ ტორესი** კონფრონტაციის გაღრმავების თავიდან აცილების მიზნით, კომპრომისზე წასვლას აპირებს. სავარაუდოა, რომ გუნდის უმაღლესი ხელისუფალი საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს ახალი სარეკლამო რგოლის მოფიქრებასა და დამზადებას მოსთხოვს.

ბუნებრივია, მადრიდელებს გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი საქმეებიც აქვთ. გუშინ ცნობილი გახდა, რომ სენიორ ტორესი "ინდეპენდიენტეს" ახალგაზრდა მეკარის, **უსტარის** ტრანსფერზე შეუთანხმდა. აველიანედელები საკომპენსაციო თანხის სახით ექვს მილიონ ევროს მიიღებენ. უსტარი კი მომდევნო ექვს სეზონს "ელ კოლისეუმზე" გაატარებს. იმის გათვალისწინებით, რომ "ხეტაფეს" კარს გულშემატკივრებისა და მიმომხილველების მიერ გასული სეზონის საუკეთესო გოლკიპერად შერაცხული **რობერტო აბონდანსიერი** იცავს, უსტარის ტრანსფერი ბევრს უცნაურად მოეჩვენა... თუმცა ანხელ ტორესი აცხადებს, რომ არგენტინელი სულ რაღაც 20 წლისაა და წინ უდიდესი მომავალი ელის. სხვათა შორის, სამხრეთამერიკელს მსოფლიოს საუკეთესო ექსპერტებიც საუცხოო დახასიათებას აძლევენ და მართლაც ფენომენალურ კარიერას უწინასწარმეტყველებენ. ძნელი სათქმელია, "ხეტაფე" რამდენად აძლევს ადამიანს ფრთების გაშლის საშუალებას, თუმცა იოლი შესაძლებელია, რომ უსტარი რამდენიმე წლის შემდეგ რომელიმე გრანდს სამმაგ ფასში მიყიდონ. მოკლედ, ტორესმა შესანიშნავი კაპიტალდაბანდება გააკეთა.

ამასობაში, "ხეტაფეს" ახალმა დამრიგებელმა ხელმძღვანელობას საინტერესო თხოვნით მიმართა. **მიქაელ ლაუდრუპს დენის რომედალის** შეძენა სურს. მისი თანამემამულე ამჟამად "ჩარლტონის" საკუთრებაა. პრეზიდენტმა დანიელ სპეციალისტს პირობა მისცა, რომ ტრანსფერის გასაჩარხად ყველაფერს იღონებს. ნესით, საქმე არ უნდა გართულდეს. მოგეხსენებათ, "ჩარლტონი" პრემიერლიგიდან გავარდა, სკანდინავიელ ფეხბურთელს კი მეორე დივიზიონში თამაში არ ხიბლავს. გუნდის გამოცვლის სურვილი დენისმა "ჩარლტონის" მესვეურებს პირადად გაუმხილა. არაოფიციალური ინფორმაციით, ინგლისელები ტორესის მიერ შეთავაზებული ორი მილიონი ევროთი მოხიბლულები დარჩნენ და ესპანელ კოლეგას სიტყვიერი თანხმობა განუცხადეს. გამორიცხული არ არის, "ხეტაფეს" პრეზიდენტი უახლოეს დღეებში დიდ ბრიტანეთს გაემგზავროს და მოლაპარაკებათა გადამწყვეტი რაუნდი გამართოს. თავად რომედალს კარიერის პრიმერა დივიზიონში გაგრძელებითა და ლაუდრუპთან შესაძლო თანამშრომლობით გამონვეული სიხარული არ დაუმალავს. რაც იმას ნიშნავს, რომ დენისი "ხეტაფეში" სიამოვნებით ითამაშებს.

რომა

კივუს ტიფოზები აუმხედრდნენ

კრისტიან კივუს გაჯანჯლებული ისტორიით თავმობეზრებულმა ერთ-ერთმა გულშემატკივარმა რუმინელი მცველის მასხარად აგდება სცადა. "რომას" ტიფოზიმ მსოფლიოში კარგად ცნობილი ინტერნეტ აუქციონის ebay-ს გვერდზე უცნაური განცხადება გამოაქვეყნა: *"ვყიდი ფულზე უზომოდ დახარჯებულ და შეყვარებულ ცენტრალურ საფეხბურთო მცველს, კრისტიან კივუს. დაასწარით, აჯობეთ და დაამარცხეთ "რეალი", "ბარსელონა" და "ინტერი". ისინი მზად არიან სოლიდური თანხა გადიხადონ. მე კი კივუს ცენტებში დაგითმობთ. კივუსთან ერთად ამ მიზერულ თანხად მისი მენეჯერების, ძმები ბეკალების ხელში ჩაგდებასაც შეძლებთ."*

მიმომხილველების თქმით, გულშემატკივრის ირონიული გამოხდომა რომანისტების საერთო განწყობას გამოხატავს. მათ ყელში ამოუვიდათ რუმინელი მცველის მერკანტილური, მისწრაფებები. ტიფოზები ფიქრობდნენ, რომ კივუ მათი გუნდის ერთგული დარჩებოდა, მაგრამ ფეხბურთელი ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ მისით დაინტერესებული კლუბები ერთმანეთს გადაჰკიდოს და რომელიმე ერთისგან მაქსიმალურად მომგებიანი ნინადადება მიიღოს. "რომას" ინტერესები აქ საერთოდ არ არის გათვალისწინებული. ამიტომ, დედაქალაქური კლუბის ფანები კივუს ღიად დაუპირისპირდნენ და რადიკალიზმით აღსავსე შეტყობინებები გაუგზავნეს. *"წადი, წაეთრიე, გადაშენდი. აღარ გვჭირდები. ფულის მონები არ გვიყვარს,"* - ასეთია ტიფოზების დამოკიდებულება.

P.S. გუშინ, "რომას" ხელმძღვანელობამ ოფიციალურად დაადასტურა, რომ რუმინელი ფეხბურთელი მომავალ სეზონში ამ გუნდის ღირსებას დაიცავს.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ჩოგბურთი

საქართველოს თასი

კა გორგოძე-მაგდა ოქრუაშვილი — ნუგზარ სუარიძის ფოტო

ორნი ორმაგ მწვერვალზე!

გუშინ "იან ჰომერის" სახელობის კორტებზე დასრულდა 18 წლამდე ასაკის ჩოგბურთელთა ტურნირი "ბაბოლატის თასზე". საჩოგბურთო ამუნიციის მსოფლიო ლიდერმა კომპანიამ პირველად უპატრონა საქართველოში საჩოგბურთო ტურნირს. შეჯიბრება ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის (ITF) ეგიდით ტარდებოდა და საერთაშორისო სტატუსი ჰქონდა. სტუმართა სიმრავლესაც ველოდით, მაგრამ გარკვეულ მიზეზთა გამო თბილისში მხოლოდ ორი ქვეყნის წარმომადგენლები გვეწვივნენ - აზერბაიჯანიდან და რუსეთიდან. ფავორიტები ქართველები იყვნენ და საბოლოოდ მათივე უპირატესობითაც გასრულდა ტურნირი.

გოგონებში პირველ ნომრად **ეკა გორგოძე** იყო განთესილი, მეორედ - **ანა ჯიქია**. ფინალამდე მათ ვერავინ შეუშალა ხელი და ერთმანეთის პირისპირ დადგნენ. გამარჯვება გორგოძეს დარჩა - 6:4, 6:2.

გორგოძეც და ჯიქიაც ნყვილთა შორისაც იბრძოდნენ, - გორგოძე **მაგდა ოქრუაშვილთან** შეწყვილდა, ჯიქია კი - **ნინო მებუკესთან**. ნყვილთა შორისაც გორგოძე-ჯიქიას ბრძოლა ვიხილეთ და ანას რევანშის საშუალება მიეცა, მაგრამ ეკას და მაგდას დუეტი უფრო ძლიერი აღმოჩნდა, თუმც მათ გამარჯვება გაუჭირდათ - სამ სეტში 6:4, 5:7, 6:3 იმარჯვეს. ასე რომ, ეკა გორგოძე ტურნირის ორგზის გამარჯვებული გახდა. ასეთივე წარმატებას მიაღწია ჭაბუკებში **ნიკოლოზ ქურდაძემ**, რომელმაც ერთეულთა ფინალში პირველ ნომრად განთესილი **რევაზ ოსაძე** დაამარცხა სამ სეტში - 3:6, 7:5, 6:3. ნყვილებში ქურდაძე **გიორგი ხმიადაშვილთან** ერთად თამაშობდა - ფინალში მათ ოსაძე-**ნიკა კაკულიას** ნყვილი დაამარცხეს იოლად - 6:2, 6:2.

აღსანიშნავია, რომ ერთეულებში ქურდაძე მეხუთე ნომრად იყო განთესილი, ხოლო ნყვილებში - მეორედ. ეჭვი არ არის, ქურდაძისთვის ამ გამარჯვებებს დიდი მნიშვნელობა აქვს; ფაქტია ისიც, რომ მის სათამაშო კლასში დიდი წინსვლაა, ისევე როგორც სხვა დანარჩენ გოგო-ბიჭებში, რაზეც დახურვის ცერემონიაზე ხაზგასმით ისაუბრა კომპანია "ქართული ჩოგბურთის" პრეზიდენტმა **დავით ლანჩავამ**.

გამარჯვებულთათვის დანესებული იყო ლამაზი პრიზები: ოქროს მედალი ქართული მინანქრით გამდიდრებული, რომელიც მცირე კვარცხლბეკზე დგას; მეორეადგილოსნებისთვის კი ბრინჯაოში ჩამოსხმული ჩოგბურთელი გოგონას ფიგურა დაანესეს. პრიზები ტურნირის ერთ-ერთი სპონსორის "ეროვნული ზარაფხანის" საჩუქარია. ამ ასაკში ფულადი პრიზები არ გაიცემა და მთავარი სარეიტინგო ქულების დაგროვებაა. პირველი ადგილისთვის 30 ქულა ეძლევა ჩოგბურთელს, ფინალისტს - 20. ნყვილთა გამარჯვებულებს, თითოეულს 20 ქულა დაერიცხება, თუმცა აქედან მეოთხედი ერთეულთა რეიტინგშიც ემატება.

ტურნირი ნაადრევად დაასრულა - დებულებით კვრას უნდა გადაეკვეთა ფინიშის ხაზი, მაგრამ მონაწილეთა დიდი ნაწილი დღეს ერევანს მიემგზავრება სოლიდურ საერთაშორისო ტურნირში სათამაშოდ, სხვათა შორის, სომხური ტურნირის ორგანიზებას ქალბატონი **ლეილა მესხი** და საქართველოს ჩოგბურთის ფედერაცია უწევს - სომხურმა მხარემ საერთაშორისო ტურნირებში გამოცდილ ქართველებს სთხოვა დახმარება და უარიც არ მიუღია... ამის გამო იყო, რომ "ბაბოლატის" ფინალს ქალბატონი ლეილა მესხი და სხვა ჩინოვნიკები არ დასწრებიან; თუმც ვიცეპრეზიდენტი **ლევან რაზმაძე** კი ადევნებდა ტურნირს თვალყურს და დაჯილდოებასაც დაესწრო.

დღეს "ბაბოლატის თასზე" ბრძოლას ვეტერანები და მოყვარულები დაიწყებენ. გუშინდელი დღისთვის რეგისტრაცია 30-მდე მოყვარულმა გაიარა. ორგანიზატორები მსურველთა რაოდენობის გაზრდას ელიან. შეჯიბრი ორ დღეს გასტანს.

ზვიად შათირიშვილი

ბაბოლატის თასი

გოგონები: ეკა გორგოძე - ანა ჯიქია - 6:4, 6:2.

წყვილები: ეკა გორგოძე-მაგდა ოქრუაშვილი - ანა ჯიქია-ნინო მებუკე - 6:4, 5:7, 6:3.

ჭაბუკები: ნიკოლოზ ქურდაძე - რევაზ ოსაძე - 3:6, 7:5, 6:3.

წყვილები: ნიკოლოზ ქურდაძე-გიორგი ხმიადაშვილი-რევაზ ოსაძე-ნიკა კაკულია - 6:2, 6:2.



ნიკოლოზ ქურდაძე — ნუგზარ სუარიძის ფოტო

ბოსტონიც მორჩა

ჩოგბურთი. ბოსტონის საერთაშორისო ტურნირში (50 ათასი დოლარი) მონაწილე ქართველი ჩოგბურთელები მერვედფინალში დამარცხდნენ. 17 წლის **ანა ტატიშვილმა** მე-5 ნომრად განთესილ სამხრეთაფრიკელ **ნატალი გრანდინთან** (207) ნაგო - 5:7, 4:6. ხოლო **სალომე დევიძემ** ვერ შეძლო ბრძოლის დამთავრება ინდონეზიელ **სენდი გუმულიასთან** (288), თუმცა კი უიმედოდ აგებდა - 4:6, 1:4. ნყვილთა თანრიგის ძირითად ბადეში ანა ტატიშვილი და **სოფიო მელიქიშვილი** აპირებდნენ ასპარეზობას, თუმცა ბოლო მომენტში ქართველებმა თამაშზე უარი თქვეს.

ნიკოლოზ ნეფარიძე

მეექვსე წაგება

ქრიკი. სერბეთის ქალაქ სომბორში, ქართველი მოკრივეებისთვის უკვე დასრულდა ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი. გუშინ, რინგზე გამოვიდა უკანასკნელი ქართველი - **დავით გოგიშვილი** (81 კგ), რომელიც მეოთხედფინალში ხვდებოდა რუს იაკუშევს.

გამარჯვების შემთხვევაში, ჩვენი გუნდი ერთი მედლით დაამთავრებდა ევროპის ჩემპიონატს, ახლა კი ხელმოცარული დარჩა.

კობა ხატისაშვილი

მშვიდობისნოგა

მსოფლიო ჩემპიონატი

ერთი ქულა სენსაციამდე

ლაიფციგში, მშვილდოსანთა მსოფლიო ჩემპიონატზე საქართველოს ქალთა ნაკრებმა გუნდურ პირველობაშიც კინაღამ სენსაცია მოახდინა და ცოტა დააკლდა, ტურნირიდან პოლონეთის გუნდი გამოეთიშა.

შეგახსენებთ, რომ საკვალიფიკაციოში ჩვენი ნაკრები - **ხათუნა ნარიმანიძე, ქრისტინე ესებუა, ასმათ დიასამიძე** მეთოთხმეტე ადგილზე გავიდა და ამიტომ ფლეი ოფში პირველ მეტოქედ მესამეზე გასული პოლონეთი ერგო. ნყვილის ფავორიტად პოლონელები კი მიიჩნეოდნენ, მაგრამ ნინა დღით პირად პირველობაში წარმატებული გამოსვლით ფრთაშესხმულმა ქართულმა ტრიომ მათი ფავორიტობა არად ჩააგდო და ფიცხელი ბრძოლა გაუმართა. ძირითადი დრო ფრედ დამთავრდა - 198:198, დამატებითში კი ჩვენებმა ორად ორი ქულით წააგეს - 23:25. ნამდვილად დასანანი მარცხია... ძირითად სერიაში ერთადერთი ქულა და ჩვენები პატარა სენსაციას მოახდენდნენ. აღსანიშნავია, რომ პოლონელებს მომდევნო წრეშიც დამატებითი სერია დასჭირდათ იტალიელებთან, თუმცა ამ ჯერზე დამარცხდნენ - ძირითადი დრო 197:197 მორჩა, დამატებითში კი იტალიელებმა 26:23 იმარჯვეს. გუნდურში გუშინ მხოლოდ ორი ნრე გაიმართა და ნახევარფინალისტები გამოვლინდნენ - იტალია-ტაივანი და კორეა-ბრიტანეთი. ისინი მედლებისთვის ბრძოლას დღეს გააგრძელებენ და გამარჯვებულები გამოვლინდებიან, ხვალ კი ტურნირის დასკვნითი დღეა - მედალოსნები პირად პირველობაში გაირკვევიან.

თუმცა მსოფლიო ჩემპიონატი ჩვენთვის გუშინ დამთავრდა, მაგრამ იგი მაინც ძალზე წარმატებული გამოდგა - მოვიპოვეთ ორი ლიცენზია - ნარიმანიძისა და ესებუასი. ამასთან, ნარიმანიძე პირად პირველობაში მეხუთეზე გავიდა, რაც ძალიან კარგი შედეგია. ბარემ აქვე გეტყვით, რომ ესებუა 30-ეა, დიასამიძე - 110-ე.

ირაკლი თავაძე

ჭიდაობა

კარტოზია და ბალავაძე

ამ უქმეებზე „ქარიშხალას" დარბაზში გივი კარტოზიასა და ვახტანგ ბალავაძის სახელობის ტურნირები გაიმართება ანტიკურ და თავისუფალ ჭიდაობაში. მასში იაპონიის, ჩინეთის, ინდოეთის, უზბეკეთის, აშშ-ის, სომხეთის, აზერბაიჯანის, რუსეთის, ესტონეთის, უკრაინის, თურქეთის, ისრაელისა და საბერძნეთის გუნდები მონაწილეობენ.

დღეს „ქარიშხალაში" „ანტიკოსები" იჭიდავებენ, ხვალ - „თავისუფლები". შეჯიბრებები 9 საათზე დაიწყება, ფინალები კი 17 საათიდან გაიმართება. დღესვე, 16 საათზე, ტურნირის საზეიმო გახსნაა.

ჩვენებისთვის ეს ტურნირი მსოფლიო ჩემპიონატისთვის შესარჩევია და ამიტომ მასში ყველა უძლიერესი ფალავანი გამოვა. უფრო სწორად, ყველა ლიდერი იჭიდავებს „თავისუფლებში", „ანტიკოსებს" კი ტრავმების გამო **მანუჩარ კვირკველია** (74) და **რამაზ ნოზაძე** (96) დააკლდებიან.

ჭიდაობა

დიდი სლემი

წინ მსოფლიო ჩემპიონატია

ბერლინში მიმდინარე დიდი სლემის გათამაშება პლაჟბურთში წარუმატებელი გამოდგა ორივე ქართული წყვილისთვის. ქალთა შორის **საქა-რთველო** გათამაშებაში საკვალიფიკაციო ეტაპიდან ჩაერთო. ჩვენმა ფრენბურთელებმა აქ ორივე შეხვედრა მოიგეს და ძირითად ბადეში C ჯგუფში მოხვდნენ. კვალიფიკაციაში საქა-რთველოს პირველ შეხვედრაში დიდად არ გასჭირვებიათ ბრიტანელების ბულტონისა და ჯოუნზის დამარცხება 2:0 (21:17, 21:17). ცოტა მეტი ჯაფა დაადგათ მათ იტალიელებთან ჯატელისა და პეროტასთან მატჩში 2:1(23:21, 17:21, 20:18).

ძირითად ბადეში კი საქა-რთველომ სამივე შეხვედრა წაგო და ჯგუფური ეტაპი ვერ დაძლია. 30-ე ნომრად განთესილმა ქართულმა წყვილმა ჯერ ვერაფერი გააწყო ტურნირის მე-19 ნომრებთან ვოჩოლდერსა და ტერნერთან 0:2 (21:16, 21:11). მერე მე-14 ნომრებთან, მასპინძელთა წყვილთან, გოლერსა და ლუდვიგთან დამარცხდა ასევე ორ სეტში 12:21, 15:21. მესამე შეხვედრას ჩვენი ფრენბურთელებისთვის არანაირ პრაქტიკული მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. თუმცა მეტოქეც ისეთი ჰყავდათ, გამარჯვების მიღწევა ძნელი სავარაუდო იყო. მე-3 ნომრებთან, ჩინელებთან ტიან ძიასა და ნანკთან საქა-რთველომ ვერცერთი სეტი ვერ მოიგო 0:2 (13:21, 15:21).

საბოლოოდ, საქა-რთველომ ბერლინის დიდი სლემის ტურნირზე 25-ე ადგილი დაიკავა. რეიტინგში 80 ქულა მიითვალა და პრემიალური თანხა 3 500 ამერიკული დოლარი მიიღო.

ოდნავ უკეთესად იასპარეზა გეორ-გიამ, რომელიც თავიდანვე ძირითად ბადეში იყო. ჩვენმა ფრენბურთელებმა M ჯგუფში სამიდან მხოლოდ ერთი მოიგეს და შეჯიბრებას გამოეთიშნენ. პირველ შეხვედრაში გეორ-გია შახტსა და შლაკთან დამარცხდა 1:2 (21:16, 19:21,14:16), მერე კი - მეოთხე ნომრად განთესილ ამერიკელებთან, როჯერსა და დალჰაუსერთან 0:2 (14:21, 23:25). მესამე არაფრისმომცემ შეხვედრაში კი ჩვენმა ფრენბურთელებმა ზელანდიელები ლოკჰიდი და პიტმანი დაამარცხეს 2:0 (24:22, 21:16).

მომდევნო შეჯიბრებაში ჩვენი ფრენბურთელები ხუთი დღის შემდეგ მარსელში, მსოფლიო ტურის მორიგ ეტაპზე ჩაერთვებიან. მერე კი 24 ივლისიდან, შვეიცარიის ქალაქ გშტაადში, მსოფლიოს ჩემპიონატზე იასპარეზებენ.

ბესიკ ჯანგავაძე

სუმო

კოკაი პაატარამ დაიბრიყვა

გუშინ **კოკაიმ** ნაგოიას ბაშოზე ელიტის ყველაზე ახალგაზრდა რიკიშისთან წაგო. **ტოჩიოძანმა** ქართველი კონტრშეტევაზე გამოიჭირა და ქართული მოგვერდის დარი ილეთით წააქცია. კოკაის ბალანსი კვლავ ნულოვანი გაუხდა - 3-3. ჩვენებურს დღესაც ახალგაზრდა მეტოქესთან უწევს ბრძოლა, 22 ნლის **ტოიოჰიბიკი** ელიტის დებიუტანტია, თუმცა ყოჩაღად გამოიყურება (5-1). ბუნებრივია, კოკაის ტოიოჰიბიკისთან კარიერაში პირველად მოუწევს ორთაბრძოლა. მესამე დივიზიონში მოასპარეზე ქართველები გუშინ ისვენებდნენ.

ბაშოზე ბევრი არაფერი შეცვლილა, დაუმარცხებელ **ჰაკუჰოსა** და **კოტომიცუკის** კვალში ასაშორიუ, **კაიო, ჰომაშო** და ტოიოჰიბიკი უდგანან. გუშინ ორმა ოძეკიმ წაგო, **კოტოოშუმ** და **ჩიოტაიკაიმ**.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ნაგოიას ბაშო

ივლისის სუპერტურნირი

8-22 ივლისი, ნაგოია (იაპონია)

VI დღე. მნიშვნელოვანი ბრძოლები: **კოკაი-ტოჩიოძანი 0:1 (უვატენაგე), ჰაკუჰო-ტაკამისაკარი 1:0, ასაშორიუ-ტოიონოშიმა 1:0, ვაკანოსატო-კოტოოშუ 1:0, კაიო-ტაკეკაძე 1:0, დეჯიმა-ჩიოტაიკაი 1:0, კოტომიცუკი-ამა 1:0, ამინიშიკი-ტოკიტენკუ 1:0, ტამანოშიმა-ასასეკირიუ 1:0, მიაბიამა-კოტოშოგიკუ 1:0, კისენოსატო-კაკურიუ 1:0, ჰომაშო-რიუო 1:0, ფუტენოკასუგაო 1:0, ტოიოჰიბიკი-ტამაკასუგა 1:0.**

სატურნირო მდგომარეობა: **6-0: ჰაკუჰო (იოკოძუნა), კოტომიცუკი (სეკივაკეკ); 5-1: ასაშორიუ (იოკოძუნა), კაიო (ოძეკი), ჰომაშო (მაეგაშირა 6), ტოიოჰიბიკი (მ 14);** .. **3-3: კოკაი (მ 9).**

VII დღე. მნიშვნელოვანი წყვილები: **კოკაი-ტოიოჰიბიკი, ასაშორიუ-ტოკიტენკუ, ჰაკუჰო-ამინიშიკი, კაიო-დეჯიმა, ჩიოტაიკაი-ტაკეკაძე, კოტოოშუ-ასასეკირიუ, კოტომიცუკი-ტაკამისაკარი, ამა-ვაკანოსატო, კოტოშოგიკუ-ტამანოშიმა, კაკურიუ-ტოიონოშიმა, მიაბიამა-რიუო, ჰომაშო-კასუგაო.**

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტის აკადემია

საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის საპატიო პრეზიდენტს, ქალბატონ სანდრა (ელისაბედ) რულოვს-სააკაშვილისას

მიმართვა

ქალბატონო სანდრა,

საყოველთაოდ ცნობილია თქვენი გულისხმიერება, ქველმოქმედება, ერისა და ქვეყნის სატკივარის გულთან მიტანა. თქვენ, უმშვენიერესი ახალგაზრდა ქალბატონი, ორი ვაჟიშვილის დედა ბრძანდებით.

ქალბატონო სანდრა, თქვენ ჩვენი იმედი ხართ. თქვენ თქვენს მეუღლესთან - ჩვენს პრეზიდენტთან - ერთად ქართული სპორტის დიდი მოამაგე და ქომაგი ბრძანდებით. ამიტომაც აგირჩიეს ქართველმა ფრენბურთელებმა თავიანთი ფედერაციის საპატიო პრეზიდენტად.

ქალბატონო სანდრა, თქვენ განსაკუთრებით მფარველობთ ინვალიდ და გონებაშეზღუდულ ბავშვებს, რომელთა საქმიანობაში აქტიურადაა ჩართული სწორედ ჩვენი აკადემია.

ქალბატონო სანდრა, თქვენი ნამღერივით დიდებულო, ორი ქართველი ვაჟკაცის დედავ, თქვენზე უკეთესად ვინ იცის, რა ძალა აქვს ფიზიკურ აღზრდასა და სპორტს ახალგაზრდის ძლიერ პიროვნებად ჩამოყალიბებისას. ფიზიკურ აღზრდას, სპორტს თავისი სპეციალისტი სჭირდება. 70 წელიწადია საქართველოში არსებობს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო აკადემია, ერთ-ერთი უცნობილესი, უძლიერესი და სახელმოხვეჭილი უმაღლესი სასწავლებელი, რა თქმა უნდა, დამოუკიდებელი! მაგრამ, როგორც ცნობილი გახდა, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია ერთ ფაკულტეტად უნდა გადაკეთდეს და სხვა უმაღლეს სასწავლებელს შეუერთდეს. ეს წარმოუდგენელია! მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, სადაც ამ პროფილის უმაღლესი სასწავლებელი არსებობს, იგი დამოუკიდებელია!

ქალბატონო სანდრა, ამ მიმართვასთან ერთად გიგზავნით ქვეყნის პრეზიდენტის სახელზე გაგზავნილი მიმართვის ტექსტის ასლსაც. მას ხელს ჩვენი ქვეყნის უდიდესი სპორტსმენები, საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის კურსდამთავრებულები აწერენ. საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის ქალთა საბჭოს, ცნობილ სპორტსმენ ქალბატონებს, პროფესორ-მასწავლებლებს, სტუდენტ ახალგაზრდობას თქვენი მხარდაჭერისა და თანადგომის დიდი იმედი გვაქვს.

გვჯერა და გვწამს, რომ ამ ჩვენს თხოვნას - ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიას შეუნარჩუნდეს დამოუკიდებლობა - თქვენც ჩვენთან ერთად დაიცავთ და კიდევ ერთხელ - ჩვენ დარწმუნებული ვართ თქვენი და თქვენი მეუღლის, ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტის მხარდაჭერით საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია არ გაუქმდება!

აკადემიის ქალთა საბჭოს სრული შემადგენლობა, ცნობილი სპორტსმენი ქალები და საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. სულ 67 ქალბატონის ხელმოწერა.

ჭადრაკი

ჯობავამ შეძლო!

ესპანეთის ქალაქ ბენასკეს საჭადრაკო ფესტივალზე, როგორც იქნა, შეაჩერეს აქამდე უდანაკარგოდ მავალი გერმანელი ვეტერანი, 46 წლის **არკადი როტშტაინი** - ჩვენდა გასახარად, ეს ქართველმა **ბაადურ ჯობავამ** შეძლო. ჯობავა ტურნირის უპირველესი ფავორიტია და ძლიერადაც თამაშობდა - 7 ტურის შემდეგ 6.5 ქულა ჰქონდა, მაგრამ როტშტაინმა ალბათ საკუთარი თავიც გააკვირვა და შვიდიდან შვიდი ქულა დააგროვა. მერვე ტურში ბაადური და არკადი შეყარა კენჭისყრამ და ქართველმა გერმანელს **ლევან ფანცულაიას** დამარცხებისთვის რევანშიც აუღო. ამ მოგებით ჯობავამ როტშტაინს ერთპიროვნული ლიდერობა ჩამოართვა. ბოლო ტურში, შესაძლოა, ბაადურს ყაიმიც ეყოს, რათა ტურნირის გამარჯვებული გახდეს. გადამწყვეტ ტურში გერმანელი **ფელიქს ლევინი** დაუპირისპირდება ჯობავას, თეთრებით მეტოქეა.

ბაადურ ჯობავა

სამწუხაროდ, კვლავ წააგო ლევან ფანცულაიამ, ამჯერად - თეთრებით. როგორც ჩანს, როტშტაინთან მარცხი ბოლომდე ვერ დაივიწყა. დასანანია, მაგრამ ლევანმა საპრიზო ადგილზე გასვლის შანსი დაკარგა. სანაცვლოდ ეს შანსი შერჩათ **ლევან არაშიძესა** და **თამაზ გელაშვილს**, რომლებიც მერვე ტურში ერთმანეთს შეხვდნენ და მშვიდობიანად დაშორდნენ; მათი მარაგი 6.5-ს უდრის და თუკი ბოლო ტურში ორივე გაიმარჯვებს, მაღალ ადგილს დაიკავებენ. გელაშვილს ამის გაკეთება ესპანეთის სახელით მოთამაშე **ელიბზბარ უბილავასთან** მოუწევს, რომელმაც მეექვსე ტურში მარცხის შემდეგ კვლავ მოიგო და ლიდერთა ჯგუფს დაუბრუნდა - მასაც 6.5 ქულა აქვს. ლევან არაშიძის მეტოქე აზერბაიჯანელი დიდოსტატი **ნიჯატ მამედოვი**ა, თეთრებით აზერბაიჯანელი მოჭადრაკე ითამაშებს.

ბაადურს 7 ქულით ორი კონკურენტუ უდგას კვალში - დღევანდელი და გუშინდელი მეტოქეები, 6.5 ქულა კი 10 მონაწილეს აქვს.

ზვიად შათირიშვილი

არა მარტო ჭადრაკით...

ფოთში გრძელდება ნანა ალექსანდრიას სახელობის საჭადრაკო ფესტივალი, რომელიც წელს მეორედ იმართება. უკვე ექვსი ტურია განვლილი და მედლებისთვის მებრძოლთა ჯგუფები გამოკვეთილია. შეგახსენებთ, სხვადასხვა ასაკში ფულადი პრიზი სხვადასხვა რაოდენობით პირველ ხუთ ადგილზე გაიცემა...

მართალია, 5 ქვეყნიდან არიან სტუმრები ჩამოსულნი, მაგრამ მასპინძლებს მხოლოდ სომხები უწევენ კონკურენციას. ორგანიზატორებს, წმინდა საჭადრაკო პრობლემების გარდა, ტექნიკური სირთულეების დაძლევაც მოუხდათ, რამაც ფოთიდან ოპერატიული ინფორმაციის მიღება შეუძლებელი გახადა, - უკვე ვწერდით, რომ მავანმა საინტერნეტო ქსელი დააზიანა და გაძარცვა. გუშინ მოხერხდა ქსელის გამართვა და მსურველებს ტურნირის შესახებ ინფორმაციის სრულად მიღება შეეძლებათ.

ჩვენ, ტრადიციისამებრ, ყოველ ასაკში სამ დაფაზე გამართულ შედეგებს გაგაცნობთ. აქვე შევნიშნავთ, რომ დილით, 10 საათზე 8 და 10-წლამდელები თამაშობენ, 15 საათიდან კი დაფებს 12 და 16 წლამდელები უსხდებიან. ასეთი განრიგის გამო დაბალი ასაკის მოჭადრაკეთა გარკვეული ნაწილი უფროსებშიც ასპარეზობს და ამიტომ არ უნდა გა გიკვირდეთ, თუკი ერთი და იგივე გვარი ორგან შეგხვდებათ.

8 წლამდელი ჭაბუკები: ალეკო პანასენკო (4.5)-ლუკა ლიჩელი (4.5)-0.5:0.5; ლუკა გულუა (4)-პარმენ თავხელიძე (4)-1:0; გიორგი კვესელავა (4)-სურენ გასიანი (სომხ. 4)-0.5:0.5; 10-წლამდელები: არსენ აგაჯანიანი (სომხ. 5)-ტიგრან პარუტუნიანი (5)-1:0; ნიკა ბერძენაძე (4)-გიორგი სულუხია (4)-0.5:0.5; არუტუნ ბარსეგინი (სომხ. 4)-ირაკლი კელაპტრიშვილი (4)-0:1; 12-წლამდელები: გოგი დანგაძე (4.5)-ირაკლი ბერაძე (5)-0:1; გიგლა ბენიძე (4)-ტიგრან პარუტუნიანი (სომხ. 4.5)-1:0; ოთარ მანგიშვილი (4)-რატი ცომაია (4)-0:1; 16-წლამდელები: ზვიად ფაცია (4.5)-დავით ბენიძე (4.5)-0.5:0.5; თემურ ჭოლაძე (4)-ირაკლი ჯანიშვილი (4.5)-0:1; აიკ ვარდანიანი (სომხ. 4)-დიმიტრი კვარაცხელია (4)-1:0.

გოგონები. 8 წლამდელები: თინათინ ლაღაძე (4)-ნინო ჯალალონია (5)-0.5:0.5; თამარ პაპკურიძე (3.5)-ელა ევანიძე (4)-0.5:0.5; მარი ჩალაძე (3)-ანა ჭანტურია (3.5)-1:0; 10-წლამდელები: მარი ჭოლაძე (5)-ნინო ხომერიკი (4)-1:0; ადა ქაქუტია (4)-მარიამ მჟავია (4)-1:0; ეკა ურდულაშვილი (3.5)-მარია ნულაია (3.5)-0.5:0.5; 12-წლამდელები: ანა შამათავა (4.5)-სვეტლანა მირზაბეკიანი (სომხ. 4)-1:0; დეა გოგიშვილი (3.5)-მარი სამურკასოვი (4)-0.5:0.5; ნანი უნაფეხოშვილი (4)-ანა მარდალეიშვილი (3.5)-1:0. 16-წლამდელები: ნათია ჯალაბაძე (3.5)-სალომე სირაძე (4)-1:0; მარი არაბიძე (3.5)-თეკლა ფარჯიანი (3.5)-1:0; რატი რიჟამაძე (3)-ქეთი ნაწალაშვილი (3.5)-0:1.

საჭადრაკო ბატალიები, ცხადია, უპირველესია, მაგრამ მსგავსი ტიპის ფესტივალებში ტრადიციად არის ქცეული მონაწილეთა, მწვრთნელთა, მშობელთა და დელეგაციის სხვა წევრთა შორის სპორტის ამა თუ იმ სახეობაში გაჯიბრება. ასეთი ინიციატივა, როგორც წესი დიდ ინტერესს იწვევს და არანაკლებ თვალსასაჩინოა. "ალექსანდრიას თასზეც" შესთავაზეს ორგანიზატორებმა მონაწილეებს მსგავსი ღონისძიება - დღეს ქართველი მწვრთნელები და მოჭადრაკეები ფეხბურთში გაეჯიბრებიან ერთმანეთს. გუნდები ტერიტორიული პრინციპით შეირჩა - დასავლეთ და აღმოსავლეთი საქართველოს მკვიდრი მოჭადრაკეები გაარკვევენ ფეხბურთში უძლიერესს. აღმოსავლეთის გუნდს **გოგი მაჭარაშვილი** კაპიტნობს, დასავლეთისას კი **ალექსანდრე არაკინძე.** ხვალ კი, სომეხ მოჭადრაკეებს დაუპირისპირდებიან ქართველები, შემდეგ კი - აზერბაიჯანელებსაც შეხვდებიან. პრიზები აქაც არის დანესებული და გამარჯვებულებს და მონაწილეებს დიპლომები და სამახსოვრო საჩუქრები გადაეცემათ.

ზვიად შათირიშვილი

სტუდენტები აკადემიას არ ტოვებენ...

გამარჯვებისთვის ბრძოლა სპორტული სამყაროს რჩეულ წარმომადგენლებს ნამდვილად არ ესწავლებათ. ამასთან, ისინი ერთგულები რჩებიან "სამართლიანი" თამაშისა", რომელიც ცარგა ხანია, მსოფლიოს სპორტის თანამედროვე დევიზად იქცა.

"ჩვენ ვიბრძოლებთ მხოლოდ კანონიერ ფარგლებში, მაგრამ ყველაფერს გავაკეთებთ, რათა დავიცვათ ქართული სპორტის ინტერესები, რომლის მომავალი წარმოუდგენელია სპორტის აკადემიის გარეშე", - აცხადებენ ამ სასწავლებლის სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლებიდა მათი მხარდამჭერები, რომელთა რიცხვი დღითიდღე იზრდება. სტუდენტების ნაწილი ბრუნდება არდადეგებიდან, რეგიონებიდან ჩამოდიან სპეციალისტები. გუშინ მშობლიურ სასწავლებელს ეწვივნენ 50 წლის წინანდელი გამოშვების კურსდამთავრებულები. თანადგომა გამოხატა აფხაზეთის ომში გმირულად დაღუპული ვანო გელაშვილის სახელობის ვარკეთილის მეურნეობის საჯარო სკოლამ.

შეკრებილებმა ეზოდან სააქტო დარბაზში გადაინაცვლეს. სწორედ იქ, ხალხით გადაჭედილ დარბაზში გადაწყდა სპორტის აკადემიის გადარჩენის საორგანიზაციო კომიტეტის შექმნის საკითხი, რომელიც გუშინვე ჩამოყალიბდა კიდეც. აკადემიის ბედთან დაკავშირებით შეტყობინება დაეგზავნა მსოფლიო სპორტულ ორგანიზაციებსა და ამავე პროფილის უმაღლეს სასწავლებლებს.

სტუდენტებმა გადაწყვიტეს დღეც და ღამეც არ მიატოვონ აკადემია. *"აქვე დავიძინებთ, აქვე შევჭამთ, აქვე ვიცხოვრებთ, ეს ჩვენი ოჯახია და ოჯახის ღირსებას არ დავთმობთ"*, - აცხადებდნენ გამომსვლელები. მათ აკადემიის ყველა სტუდენტს მოუწოდეს დაბრუნდნენ თბილისში კურორტებიდან, სოფლებიდან და დადგნენ მათ გვერდით. გუშინვე საპროტესტო აქცია გაიმართა ზუგდიდში.

გამოცხადდა, რომ დღეს აკადემიის გადარჩენის მხარდამჭერებს, საქართველოს ცნობილ სპორტსმენთა ახალი ჯგუფი შეუერთდება.

ქართული ჭიდაობა

საქართველოს ჩემპიონატი

სასიკეთო ძვრები ქართულ ჭიდაობაში

თბილისში დამთავრდა საქართველოს პირადი ჩემპიონატის ფინალური შეჯიბრება, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ზონალურ შეჯიბრებებში I-VIII ადგილზე გასული გორის, ქუთაისის, ლენტეხის, ცაგერის, თბილისის, ახალგორის, ჭიათურის, საგარეჯოს, ზესტაფონის, მცხეთის, თელავის, ლანჩხუთის, ფოთის, რუსთავის, თერჯოლის, საჩხერის, კასპის და გარდაბნის 115 სპორტსმენის მონაწილეობით.

უშეღავათო ორთაბრძოლებში ყველაზე უკეთ იასპარეზეს გორელებმა (მწვრთნელები **გივი ზაუტაშვილი** და **ქართლოს პავლიაშვილი**), შემდეგ მოდიან მცხეთელი (მწვრთნელი **ზაურ პავლიაშვილი**) და კასპელი ფალავნები (მწვრთნელი **ჯამბულ პაპინაშვილი**).

გამარჯვებულებსა და პრიზიორებს გადაეცათ დიპლომები, მედლები და ფულადი პრემიები. შესაბამისად - 150, 100 და 50 ლარი.

გარდა ამისა, შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა, სამბოში ვეტერანთა შორის ევროპისა და მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონმა **უშანგი ყურაშვილმა** დააწესა ტრაგიკულად დაღუპული მოჭიდავეების **ალექსანდრე ბითარიშვილის, მალხაზ კუმლაძისა** და **სოსო პავლიაშვილის** ხსოვნისადმი მიძღვნილი პრიზები, რომლებიც მან გადასცა ლენტეხელ **შალვა ქარდავას**, მცხეთელ **თემურ ოქრუაშვილსა** და რუსთაველ **ლაშა ბერიძეს**.

ჩემპიონატმა ნათლად გვიჩვენა, რომ ბოლო პერიოდში ქართული ჭიდაობა აღმავლობის გზაზეა, რაც განაპირობა საქართველოს პრეზიდენტის მიერ სპორტის აკადემიაში სპორტის თვალსაჩინო მოღვაწეებთან შეხვედრისას გაკეთებულმა განცხადებამ, როცა მან ყველა რაიონის გამგებელს დაავალა თითოეულ სოფელში მოეწყოთ ნახერხმოყრილი საჭიდაო მოედნები. ეს დავალება წარმატებით სრულდება. ფედერაციის პრეზიდიუმის წევრებმა საქართველოს პარლამენტის წევრმა **ლაერტ ზუბადალაშვილმა** თავის მშობლიურ სოფელ არბოშიკში (დედოფლისწყაროს რაიონი) მოაწყო საჭიდაო სარბიელი, ხოლო **თემურ წამალაშვილმა** თიანეთის რაიონის სოფელ მელიასხევის ახალგაზრდობას აჩუქა ასევე მშვენიერი საჭიდაო სარბიელი.

გარდა ამისა ტარდება ლეგენდარული მოჭიდავეების **არსენ მეკოკიშვილის, კოლია ქვარიანის, ვახტანგ ბალავაძის, რამაზ ხარშილაძის** და სხვათა ტრადიციული ტუნირები.

წლეულს, მესამედ ჩატარდება საქართველოს პრეზიდენტის ტრადიციული გუნდური თასის გათამაშება, რომლის გამართვის ინიციატორია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" სპორტის კურატორი **ვალერი გიორგობიანი** და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის ხელმძღვანელობა. ამ მასობრივი ღონისძიების ჩატარებაში აგრეთვე თავიანთი წვლილი შეაქვთ საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულებსაც.

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსა და სპორტის დეპარტამენტის სპეციალური ბრძანების თანახმად მონესრიგდა ქვეყანაში მწვრთნელთა დანიშვნისა და ლიცენზირების საკითხი. სულ ცოტა ხნის წინათ, თუ ქართული ჭიდაობის მწვრთნელებს მუშაობა უწევდათ მხოლოდ შიშველ ენთუზიაზმზე, ამჟამად საქართველოს 31 რაიონსა და ქალაქში საქართველოს ქართული ჭიდაობის ფედერაციასთან შეთანხმებით, სასწავლო-საწვრთნელ პროცესს წარმართავენ მწვრთნელები სათანადო ანაზღაურებით, რაც თავისთავად არსებული პრობლემის წარმატებით გადაწყვეტას ნიშნავს.

იური იმერლიშვილი

ფორმულა 1. კალენდარი

ფორმულა ბრიკიარდს ტოვებს



ფორმულამ ყველაზე ხალხმრავალი ეტაპი დაკარგა

მომავალ სეზონში, ფორმულა ერთის რბოლა ინდიანაპოლისის ტრეკზე აღარ ჩატარდება. ასეთ შეთანხმებამდე მივიდნენ დიდი პრიზების ცირკის ფაქტობრივი გამგებელი **ბერნი ეკლსტოუნი** და ინდიანაპოლისის ტრეკის მფლობელი და ინდიკარის სერიის შეფი **ტონი ჯორჯი**.

"ტონისთან შეთანხმებას ვერ მივაღწიეთ. ახლა გასარკვევი ისღა გვაქვს, დავტოვებთ თუ არა აშშ-ის დიდ პრიზს კალენდარში. ამ ეტაპზე იმის თქმა შემიძლია, რომ სხვა ტრასებისგან არანაირი გამოხმაურება არ ყოფილა", - განაცხადა ეკლსტოუნმა.

აშშ-ის დიდი პრიზის შემდეგ, ეკლსტოუნსა და ჯორჯს შორის ინტენსიური მოლაპარაკება მიმდინარეობდა. კონტრაქტის გასაგრძელებლად, ბერნი ამერიკელი პარტნიორისგან გადასახდელი თანხის გაზრდას მოითხოვდა, რაზეც მტკიცე უარი მიიღო. ჯორჯი იმედოვნებდა, რომ ეკლსტოუნი ბოლო მომენტში მაინც დათმობდა, მაგრამ ასე არ მოხდა.

"კონტრაქტის გაგრძელება ვერ შევძელით, მაგრამ მე და ეკლსტოუნი შევთანხმდით, რომ მას მომავლისთვის კარი ღია ექნება და პირველივე ხელსაყრელ მომენტში, ინდიანაპოლისის რბოლა კვლავ შევა კალენდარში. ვიმედოვნებ, ეს მაშინ მოხდება, როცა ტრასა ასი წლის იუბილეს აღნიშნავს", - განაცხადა ჯორჯმა.

ცნობისთვის, ორი წლის შემდეგ, ძველ აგურნაშენს, როგორც ინდიანაპოლისის ტრეკს ხშირად უწოდებენ ხოლმე, ასი წელი უსრულდება და ჯორჯი იმედოვნებს, რომ დიდი პრიზების ცირკს საიუბილეოდ მაინც დააბრუნებს თავის ტრასაზე. რაც შეეხება ძველ აგურნაშენს, ტრასა რომ დაიგო, მისი გზის საფარი მთლიანად აგურით იყო მოკირწყლული, ახლა კი სტარტ-ფინიშის ზოლზე ერთიარდიანი მონაკვეთია (იარდი თითქმის ერთი მეტრია) დატოვებული. სწორედ ამიტომ, ინდიანაპოლისის ტრეკს ბრიკიარდსაც (აგურის იარდი) უწოდებენ.

სხვათა შორის, ეკლსტოუნმა ინდის ტრეკი ორი წლის წინათ აითვალწუნა მას შემდეგ, რაც აშშ-ის დიდ პრიზზე მხოლოდ ექვსმა ბოლიდმა (ბრიჯსტოუნის მომხმარებლებმა) იასპარეზა, დანარჩენებმა კი (მიშლენის კლიენტებმა), უსაფრთხოების მოტივებით, სტარტზე გამოსვლისგან თავი შეიკავეს.

ეკლსტოუნი მოლაპარაკებას აწარმოებს ღას ვეგასის ხელისუფლებასთან. დიდი ხანია, მას კაზინოების ქალაქში ქუჩის რბოლის ჩატარება სურს. მაგრამ თავადვე ამბობს, რომ ღას ვეგასში მერმის რბოლის ჩატარება ვერ მოხერხდება (საორგანიზაციო პრობლემების გამო). ამდენად, მერმის მსოფლიო ჩემპიონატის კალენდარი აშშ-ის დიდი პრიზის გარეშე რჩება. ერთადერთი ჩრდილოამერიკული ეტაპი კი, კანადის დიდი პრიზი იქნება.

ამასთან, მერმის კალენდარში ორი ახალი (ქუჩის) ტრასა გამოჩნდება. ამ ორიდან ერთი ესპანეთის ქალაქი ვალენსიაა, რომლის სიახლოვესაც თანამედროვე ავტოდრომი კი მდებარეობს, მაგრამ ეკლსტოუნის მოთხოვნით, ევროპის დიდი პრიზი მაინც ვალენსიას ქუჩებში ჩატარდება. მეორე სინგაპურია, რომლის სანაპირო ზოლი, საფუძვლიანი მოდერნიზების შემდეგ, ფორმულა ერთის რბოლებისთვის გამოსადეგი გახდება.

რბოლის დაკარგვის საფრთხე ასევე ემუქრებათ ფრანგულ "მანი კურსა" და ინგლისურ "სილვერსტოუნს". სამაგიეროდ, 2009 და 2010 წლებში კალენდარში გამოჩნდება აბუ დაბისა (ემირატები) და სამხრეთ კორეის დიდი პრიზები.

დაბოლოს, ისევ აშშ-ის დიდ პრიზზე. კალენდარში ამ რბოლის არსებობით დიდი ავტომწარმოებლები არიან დაინტერესებულნი, რადგან მათთვის აშშ მნიშვნელოვანი ბაზარია. ამდენად, ისინი დაინტერესებულნი არიან ამერიკაში ეტაპების გამართვით. უფრო მეტიც, "მერსედეს მოტორსპორტის" ვიცე პრეზიდენტი **ნორბერტ ჰაუგი** ამბობს, რომ კარგი იქნება, თუ ერთ სეზონში აშშ-ში ორი რბოლა მაინ ჩატარდება. მით უმეტეს, რომ ამის პრეცედენტი არსებობს.

მერაბ ლორთქიფანიძე

14 ივლისი, შაბათი

იმედი

01:00 ფეხბურთი. კოპა ამერიკა. მე-3 ადგილისთვის. მექსიკა-ურუგვაი (LIVE).

HTB-კლუბი (ფეხბურთი)

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 საფეხბურთო კლუბი.
13:05 გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-რეკრეატივო.
14:55 FUTBOL MUNDIAL. საერთაშორისო ტელეჟურნალი.
15:30 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
15:45 გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. ნიურნბერგი-ბაიერნი.
17:35 ჩემპიონთა ლიგის არქივიდან. 2003-04 წლების სეზონი. 1/8 ფინალი. მანჩესტერი-პორტუ. საპასუხო მატჩი.
19:30 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:55 ამხანაგური მატჩი. შალკე-მიდლსბრო (LIVE).
21:50 გასული სეზონის ქრონიკა. იტალიის ჩემპიონატი. ლაციო-რომა.
23:40 გასული სეზონის ქრონიკა. საფრანგეთის ჩემპიონატი. ტულუზა-მარსელი.

SPORT 1 (უკრაინა)

07:00 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
07:30 მინი-მოედანი.
07:57 ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. ტამპა ბეი-ნიუ ჯერსი.
09:37 სპორტლენი.
10:01 მინი-მოედანი.
10:20 ფეხბურთი. აშშ-ის ჩემპიონატი. MLS. დინამო-ჩიკაგო.
12:06 სპორტდოსიე.
12:32 სპორტის სამყარო.
12:59 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
13:28 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. სეზონის მიმოხილვა.
14:22 მძლეოსნობა. ევროპის თასი.
15:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. ბაშტადი. შვედეთი (LIVE).
18:19 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
18:47 ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ბარსელონა.
20:35 სპორტის სამყარო.
20:46 ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. იტალიის ჩემპიონატი. ტორინო-ლაციო.
22:32 სპორტის სამყარო.
22:55 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. გრემიო-პალმეირასი (LIVE).
00:54 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. ნიუპორტი. აშშ.
02:26 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
02:54 ფეხბურთი. აშშ-ის ჩემპიონატი. MLS. დინამო-ჩიკაგო.
04:38 ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ბარსელონა.
06:24 სპორტის სამყარო.
06:53 ფეხბურთი. Barca TV.

EUROSPORT

10:30 მულტისპორტი.
11:00 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. VI ეტაპი.
12:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. ქალები. 1/2 ფინალი. ბერლინი. გერმანია (LIVE).
14:00 რალი. ახალი სერია. რუსეთი (LIVE).
14:15 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. VII ეტაპი (LIVE).
16:00 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. კვალიფიკაცია. გერმანიის გრან პრი (LIVE).
16:45 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. VII ეტაპი (LIVE).
19:30 მულტისპორტი.
20:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. ქალები. ფინალი. ბერლინი. გერმანია.
21:00 ფეხბურთი. ევრო 2008.
22:00 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი (LIVE).
00:00 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. მიმოხილვა.
01:00 ბრძოლა ნესების გარეშე.
03:00 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. მიმოხილვა.

EUROSPORT-2

08:30 ახალი ამბები.
09:15 რალი. ახალი სერია. რუსეთი.
09:30 ახალი ამბები.
12:00 მულტისპორტი.
13:30 კალათბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (19-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. აშშ-ჩინეთი. სერბეთი.
14:30 ახალი ამბები.
15:00 ამერიკული ფეხბურთი (დარბაზებისთვის). აშშ-ის საფეხბურთო ლიგა. ფლეი ოფი.
16:30 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. ქალები. ფინალი. ბერლინი. გერმანია (LIVE).
17:30 პლაჟის ფეხბურთი. ევროპის ლიგა. 5-8 ადგილი. იტალია (LIVE).
19:00 პლაჟის ფეხბურთი. ევროპის ლიგა. 1/2 ფინალი. იტალია (LIVE).
21:15 ამერიკული ფეხბურთი (დარბაზებისთვის). აშშ-ის საფეხბურთო ლიგა. ფლეი ოფი (LIVE).
22:30 ახალი ამბები.
23:00 ამერიკული ფეხბურთი (დარბაზებისთვის). აშშ-ის საფეხბურთო ლიგა. ფლეი ოფი (LIVE).
01:30 კალათბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (19-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. აშშ-ჩინეთი. სერბეთი.
02:30 რალი. ახალი სერია. რუსეთი.
02:45 ახალი ამბები.
03:30 რალი. ახალი სერია. რუსეთი.
03:45 ახალი ამბები.

15 ივლისი, კვირა

ბიბლიოთეკა

01:00 ფეხბურთი. კოპა ამერიკა. ფინალი. არგენტინა-ბრაზილია (LIVE).

HTB-კლუბი (ფეხბურთი)

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 კოპა ამერიკა. მატჩი მე-3 ადგილისთვის. ურუგვაი-მექსიკა.
14:10 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. შალკე-მიდლსბრო.
16:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:15 ტოქ-შოუ - 2:1.
17:00 ჩემპიონთა ლიგის არქივიდან. 2003-04 წლების სეზონი. 1/8 ფინალი. მონაკო-ლოკომოტივი. საპასუხო მატჩი.
18:50 გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-მანჩესტერ იუნაიტედ.
20:40 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
21:00 კოპა ამერიკა. მატჩი მე-3 ადგილისთვის. ურუგვაი-მექსიკა.
22:50 გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-შალკე.

SPORT 1 (უკრაინა)

07:00 ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. იტალიის ჩემპიონატი. ტორინო-ლაციო.
08:48 სპორტის ისტორია.
09:00 სპორტკლუბი ქართული ფეხბურთის შესახებ.
09:35 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. გრემიო-პალმეირასი.
11:20 ფეხბურთი. Barca TV.
11:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. ნიუპორტი. აშშ.
13:00 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
13:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. ნიუპორტი. აშშ.
15:02 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
15:30 აფროსნობა. ამერიკის თასი.
16:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. ბაშტადი. შვედეთი (LIVE).
18:31 სპორტის სამყარო.
19:00 მშვილდოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი (LIVE).
20:00 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
20:25 სპორტკლუბი.
21:00 მძლეოსნობა. IAAF-ის სუპერგრან-პრი. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
01:00 ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. ესპანეთის ჩემპიონატი. დეპორტივო-ბარსელონა.
02:40 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. გრემიო-პალმეირასი.
04:21 მშვილდოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი.

EUROSPORT

10:30 მულტისპორტი.
11:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. ქალები. ფინალი. ბერლინი. გერმანია.
11:45 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. გერმანიის გრან პრი (LIVE).
12:45 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. გერმანიის გრან პრი. 125 cc. (LIVE).
14:00 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. გერმანიის გრან პრი. 250 cc. (LIVE).
15:15 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. გერმანიის გრან პრი. მოტოგრან-პრი (LIVE).
17:00 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. VIII ეტაპი (LIVE).
19:30 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. მამაკაცები. ფინალი. ბერლინი. გერმანია.
20:00 მძლეოსნობა. IAAF-ის სუპერგრან-პრი. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
22:00 კრივი.
00:00 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. მიმოხილვა.
01:30 მოტორსპორტი. საკერპო ტელეჟურნალი.
02:00 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. მიმოხილვა.

EUROSPORT-2

08:30 ახალი ამბები.
09:15 რალი. ახალი სერია. რუსეთი.
09:30 ახალი ამბები.
11:00 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი.
12:00 კალათბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (19-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. აშშ-ჩინეთი. სერბეთი.
13:00 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. I რბოლა. მანი-კური. საფრანგეთი.
13:45 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. II რბოლა. მანი-კური. საფრანგეთი.
14:30 ახალი ამბები.
15:00 მოტოკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი. I რბოლა (LIVE).
16:00 პლაჟის ჩუბოლი (ხელბურთის ნაირსახეობა). ქალები. ფინალი. ჟენევა. შვეიცარია (LIVE).
17:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. მამაკაცები. ფინალი. გერმანია (LIVE).
18:00 პლაჟის ხელბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. ფინალი. იტალია (LIVE).
19:00 პლაჟის ფეხბურთი. ევროპის ლიგა. მე-3 ადგილისთვის. იტალია (LIVE).
20:15 პლაჟის ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ფინალი. იტალია (LIVE).
21:15 პლაჟის ხელბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. ფინალი. იტალია.
22:00 ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული ჩემპიონატი.
23:30 მოტოკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი. II რბოლა.
00:15 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. გერმანიის გრან პრი.
01:00 ახალი ამბები.
01:15 პლაჟის ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ფინალი. იტალია.
02:15 ახალი ამბები.



ტურნირები

ამერიკელებს სერენა დააკლდებათ

ტრავმის გამო, ფედერაციის თასის ნახევარფინალში, რუსებთან დაპირისპირებაში, ამერიკელებს **სერენა უილიამსი** დააკლდებათ. დანაკლისს ვერც რუსები გადაურჩებიან - მათ რიგებში არ იქნებიან **მარია შარაპოვა**, ვისაც ფედერაციის თასზე პირველად უნდა ესპარეზა და **სვეტლანა კუზნეცოვა**.

სერენამ წვივისა და ცერა თითის ტრავმა უიმბლდონზე ასპარეზობისას მიიღო. აშშ-ის ნაკრებში მას **მეილენ ტიუ** შეცვლის. სამაგიეროდ, რუსების წინააღმდეგ ითამაშებს უიმბლდონის ჩემპიონი **ვენუს უილიამსი**.

"სერენას ტელეფონით ვესაუბრე და მან მითხრა, რომ ფედერაციის თასზე გუნდს ვერ დაეხმარება. უიმბლდონის შემდეგ, მასთან მუდმივად მქონდა კავშირი. ერთხანს ვიმედოვნებდით, რომ ტრავმა გაუვლიდა, მაგრამ გუშინ ყველაფერს წერტილი დაესვა. ექიმებს მისთვის უთქვამთ, რომ კარგი იქნება, თუ ერთი კვირა არ ითამაშებს, თორემ შეიძლება ტრავმა გაუმიზეზდეს და უფრო მეტხანსაც მოუწიოს უქმობა", - განაცხადა აშშ-ის ნაკრების კაპიტანმა, წარსულში ცნობილმა ჩოგბურთელმა **ზინა გარისონმა**.

კუზნეცოვას ნაცვლად, რუსთა ნაკრებში თინეიჯერი **ალა კუდრიავცევა** ითამაშებს, რომელიც უიმბლდონის პირველ წრეში ვენუსს შეხვდა და ორი ქულა არ ეყო მის დასამარცხებლად. კუდრიავცევას გარდა, რუსთა ნაკრებში ითამაშებენ **ანა ჩაკვეტაძე, ნადია პეტროვა** და **ელენა ვესნინა**. მასპინძელთა რიგებში კი, ვენუსის მხარდამხარ ითამაშებენ თინეიჯერი **ვანია კინგი** და წყვილების სპეციალისტი **ლაიზა რეიმონდი**.

რაც შეეხება შარაპოვას, უიმბლდონზე მასაც ტრავმა (მხრის) აწუხებდა, რამაც თავის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენაში აშკარად შეუშალა ხელი. მას რუსეთის ნაკრების სახელით პიველად უნდა ეასპარეზა, მაგრამ დებიუტი კვლავ გადაიდო, რის გამოც, რუსების წყენა კიდევ ერთხელ გამოიწვია. თანამემამულეები ხომ დიდი ხანია, ამერიკელობას სწამებენ, ესაოდა, ამერიკაში გაიზარდა და საჩოგბურთო ხელოვნებასაც იქ დაეუფლაო.

ეგ კი არა, კარგა ხანს, რუსების კაპიტან **შამილ ტარპიშჩევს** ვიზის პრობლემა ჰქონდა, რის გამოც ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციას სთხოვდა, შეხვედრა ნეიტრალურ მოედანზე გადაეტანათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ბოიკოტითაც კი იმუქრებოდა. თუმცა, ყველაფერი მოგვარდა, შამილმა ვიზა მიიღო .

ტურნირები

შვეიცარიის ღია

გშტაადი (შვეიცარია). თიხნარი
საპრიზო ფონდი: 421 250 ევრო

1/8 ფინალი

ანდრეას სეპი (იტა)-შტეფან კუბეკი (ავსტრია) 1:6, 7:6(4), 7:6(6), **მარტინ ვასალო-არგელო (არგ)**-ნიკოლას ლაპენტი (ეკვ) 6:4, 3:6, 6:4, **პოლ-ანრი მატიო (საფ,5)**-ფელისიანო ლოპესი (ესპ) 4:6, 6:4, 7:6(4), **იგორ ანდრეევი (რუს)**-პოტიტო სტარაჩე (იტა, 8) 6:3, 7:5, **რიშარ გასკე (საფ, 3)**-კრისტოფ ვლიეგენი (ბელ) 6:3, 6:4, **გაელ მონფილსი (საფ)**-არტი ვანეკი (ჩეხ) 6:1, 6:4.

1/4 ფინალში ხვედებიან

მატიო (5)-მონფილსი, **ჟიკელი (6)**-შტეპანეკი, **გასკე (3)**-ანდრეევი, **სეპი**-ვასალო არგელო.

შვედეთის ღია

ბაშტადი (შვედეთი). თიხნარი
საპრიზო ფონდი: 353 450 ევრო

1/8 ფინალი

დავიდ ფერერი (ესპ, 2)-ნიკოლას მასუ (ჩილ) 6:3, 3:6, 6:3, **კარლოს მოია (ესპ, 4)**-ტომას იოჰანსონი (შვედ) 6:2, 6:3, **ჟილ სიმონი (საფ)**-ხუან მონაკო (არგ, 7) 6:4, 6:4, **რობინ სიოდერლინგი (შვედ, 6)**-ფერნანდო ვერდასკო (ესპ) 6:3, 5:7, 7:6(4).

1/4 ფინალში ხვედებიან

ორნა-ალმაგრო, მოია (4)-სიოდერლინგი (6), ვოლანდრი (5)-ო. როხუსი, ფერერი (2)-სიმონი.

Campbell's Hall of Fame

ნიუპორტი (აშშ). ბალახი
საპრიზო ფონდი: 416 000 დოლარი

1/8 ფინალი

ნიკოლა მაიუ (საფ, 5)-ანტონი დუპუი (საფ) 6:3, 6:7(5), 6:1, **მიშა ზვერევი (გერ)**-დანაი უდომჩოკე (ტაილ) 2:6, 7:5, 7:6(4), **ფაბრის სანტორო (საფ, 4)**-ფრენკ დანჩევიჩი (კან) 6:7(6), 6:3, 6:4, **პრაკაშ არმიტრაჯი (ინდ)**-სკოვილ ჯენკინსი (აშშ) 6:4, 6:3.

1/4 ფინალში ხვედებიან

ქიურეში-ნორმანი, მაიუ (5)-არმიტრაჯი, სანტორო (4)-ზვერევი, სპეიდი (2)-მუდი.

ფეხბურთი

აზიის თასი

ერაყი-ავსტრალია	3:1
საუდოელები-იაპონია	1:3

ამხანაგური მატჩები

ბოლივია-სერბეთი	0:3
არგენტინა-გრუზინეთი	0:1
რანდერსი-ორაუსი	1:1
მიდგიელანდი-ოდენსე	0:3
მიუნხენი-სპარტა	0:0
ლე მანი-რენი	2:1
გუბერნლუ-რეინჯერსი	0:3
ასპ-ბრუა	1:0
ინგლბერგუ-სალგაკი	1:2
ინორკი-ლილი	0:0
რიდინგი-რიუერ პლეიტი	0:1
სიმიძუ-ლიონი	0:2
მონაკო-სენტ ეტიენი	0:2

ირლანდია

ბრეი-დერი	გადაიდო
დროგედა-ბოუეტიანი	1:0

უკრაინა

მეტალურგი (ზ)-კარპატი	1:0

ჩოგბურთი

ATP. ბაშტადი

ალმაგრო-ორნა	7:5, 6:4
მოია-სიოდერლინგი	6:2, 6:4
ფერერი-სიმონი	6:1, 6:0
ვოლანდრი-ო. როხუსი	6:1, 6:2

ATP. გშტაადი

ვასალო არგელო-სეპი	4:6, 0:6
შტეპანეკი-ჟიკელი	6:3, 6:3
გასკე-ანდრეევი	5:7, 2:6
მონფილსი-მატიო	1:6, 6:4, 3:6

ATP. ნიუპორტი

ქიურეში-ნორმანი	4:6, 6:3, 4:6

ᲢᲣᲠ ᲓᲔ ᲤᲠᲐᲜᲡᲘ

ᲑᲝᲝᲜᲔᲜᲛᲐᲪ ᲒᲐᲘᲑᲠᲬᲧᲘᲜᲐ

ტურ დე ფრანსის ქარავანი ალპებს მიუახლოვდა. დღეს პელოტონის წინაშე პირველად აღიმართება პირველი კატეგორიის სამთო მონაკვეთი, ხვალ კი ველომრბოლებს სამთო ფინიში ელით და ალბათ, სწორედ ხვალიდან გამოიკვეთება იმ ველომრბოლთა ვინაობა, რომლებიც ყვითელი მაისურის მოსაპოვებლად იბრძოლებენ.

გუშინ კი სპრინტერებს კიდევ ერთხელ მიეცათ თავის გამოჩენის შანსი. მათგან ყველაზე მოტივირებული კი ალბათ მაინც ბელგიელი **ტომ ბოონენი** იყო, ვინც რამდენიმე ეტაპზე, ხელიდან გაუშვა ნაღდი გამარჯვება, მეხუთე ეტაპზე კი საუკეთესო სპრინტერის მწვანე მაისურა გერმანელ **ერიკ ცაბელს** გადააბარა.

მეექვსე ეტაპის პროფილი ისეთია, რომ დაწინაურებულებს უპირატესობის შენარჩუნება ძალიან გაუჭირდებათ. ასე რომ, სპრინტერულ ფინიშს ველითო, - სტარტამდე ამბობდა ტურის საშეჯიბრო დირექტორი **ჟან-ფრანსუა პეშო**. მისი პროგნოზის საპირისპიროდ, ეულად ბრძოლის იმედი ჰქონდა ბრიტანელ **ბრედლი უიგინსს**, ვინც სტარტამდე განაცხადა, ეტაპის მოგების ერთადერთი შანსი მხოლოდ იმ შემთხვევაში მექნება, თუ პელოტონს მოვიტოვებ და მარტო ვეცდები ფინიშამდე მიღწევასო.

მან ასეც სცადა. სტარტიდან მალე, ძირითადი ჯგუფი უკან მოიტოვა და ასე განსაჯეთ, უპირატესობამ მალე 17 წუთსაც კი მიაღწია, თუმცა მარტოს ორასკილომეტრიანი გზის გავლა ძალიან გაუჭირდა. შედეგად, ფინიშამდე ათი კილომეტრი რომ რჩებოდა, უიგინსი პელოტონმა "ჩაყლაპა" და აქედან მოყოლებული, სპრინტერთა გუნდებს შორის პოზიციური ბრძოლა გაჩაღდა.

საბოლოოდ, ბოონენმა იმარჯვა, ვინც ფინიშამდე 300 მეტრით ადრე დაიწყო სპურტი და იმდენად სოლიდურ უპირატესობას მიაღწია, რომ ბოლო მეტრებზე სატერფულები ნებაზეც კი მიუშვა.

"პირველივე ეტაპიდან აშკარად ვგრძნობდი, რომ მოგება შემეძლო, მაგრამ სხვადასხვა გარემოებათა გამო, მიზანს ვერ ვაღწევდი. ამ სეზონში ბევრი რამ არ გამომდის, ეტყობა, იღბალი მაკლია, მაგრამ ამჯერად მეტისმეტად მოვინდომე და ბედნიერი ვარ, რომ გავიმარჯვე ამ ეტაპზე, მთების წინ", - განაცხადა ბოონენმა.

ფინიშს პელოტონთან ერთად უწია ყვითელი მაისურის მფლობელმა **ფაბიან კანჩელერამ**, ვინც კვლავ 33 წამს უგებს მეორეზე მყოფ გერმანელ **ანდრეას კლოდენს**. მწვანე მაისურა კი ბოონენმა დაიბრუნა, ვინც ცაბელს საშუალედო ფინიშზეც აჯობა და ახლა, სპრინტერთა კლასიფიკაციაში, გერმანელს 9 ქულას უგებს.

გუშინდელი ეტაპი იმითაც იყო საინტერესო, რომ მასზე უნდა გამოჩენილიყო, რამდენად სერიოზული ტრავმა მიიღეს კლოდენმა და მისმა ყაზახმა თანაგუნდელმა **ალექსანდრ ვინოკუროვმა**. ორივე მეხუთე ეტაპზე ინციდენტში მოყვა და საკმაოდ სერიოზული ტრავმები მიიღეს - ვინოს ორივე მუხლი და იდაყვი გადატყავებული აქვს, კლოდენმა კი ავარიის შემდეგ, ბაიკის უნაგირზე დაჯდომაც კი ვერ შეძლო. თუმცა, გუშინ ორივემ მიაღწია ფინიშს და თანაც ისე, რომ დრო არცერთს არ დაუკარგავს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დღეს, პირველ სამთო ეტაპზე, ორივე მონინავეთა შორის უნდა იყოს.

■ ■ ■

სანამ ტურის პელოტონი ალპებს შეუდგებოდეს, ჯიროს იტალიელი ჩემპიონი **დანილო დი ლუკა**, ვინც ტურზე არ ასპარეზობს, სერიოზულ სანქციებს გადაურჩა. მას პროკურატურისგან დოპინგთან დაკავშირებული ყოველგვარი ბრალდება მოეხსნა. თუმცა, დი ლუკას ჯერაც მოუწევს იტალიის ოლიმპიური კომიტეტის დოპინგსაწინააღმდეგო საგენტოს ბრალდების უარყოფა.

"ყოველთვის ვამბობდი, რომ იმ სკანდალში (სკანდალი, სახელწოდებით "ნათობი დოპინგის სანაცვლოდ", ოთხი წლის წინ აგორდა და მასში სპორტის სხვადასხვა სახეობის არაერთი ცნობილი სპორტსმენი და ცნობილი ექიმია გარეული) ტყუილად გამრიეს. სანერვიულო არაფერი მაქვს, რადგან ვიცი, რომ არასოდეს დამირღვევია დოპინგსაწინააღმდეგო წესები", - განაცხადა დი ლუკამ.

მერაბ ლორთქიფანიძე

მეფეური ქუჩები

სემურ ენ ოსიდან
ბურჟ ენ ბრესემდე (182.5 კმ)

1. ტომ ბოონენი (ბელგია, ქვიკსტეპ-ინერგეტიკი) 5:20.59 (37.29 კმ/სთ); 2. ოსკარ ფრეირე გომესი (ესპანეთი, რაბობანკი) იგივე დროში; 3. ერიკ ცაბელი (გერმანია, მილრამი); 4. სებასტიან შავანელი (საფრანგეთი, ფრანსის დე ჟუ); 5. თორ ჰუსპოვდი (ნორვეგია, კრედიტ აგრიკოლი); 6. დანიელე ბენატი (იტალია, ლამპრე-ფონდიტალი); 7. რობერტ ფიორსტერი (გერმანია, გროლშტაინერი); 8. რობერტ პანტერი (სამხ.აფრიკა, ბარლოუორლდი); 9. რომენ ფაილუ (საფრანგეთი, აგრიტუბელი); 10. მურილიო ფიშერი (ბრაზილია, ლიკიგაზი) ყველა იგივე დროში...

კლასიფიკაცია
ექვსი ეტაპის შემდეგ

1. ფაბიან კანჩელერა (შვეიცარია, CSC) 29.49.55; 2. ანდრეას კლოდენი (გერმანია, ასტანა) 0.33; 3. ფილიპო პოცატო (იტალია, ლიკიგაზი) 0.35; 4. დევიდ მილარი (ბრიტანეთი, სონიე დიუვალი) 0.41; 5. ოსკარ ფრეირე გომესი (ესპანეთი, რაბობანკი) 0.43; 6. ჯორჯ ჰინკეიპი (აშშ, დისქავერი ჩენელი) 0.43; 7. ვლადიმირ გუსევი (რუსეთი, დისქავერი ჩენელი) 0.45; 8. ვლადიმირ კარპეცი (რუსეთი, კაისე დ'ეპარნი) 0.46; 9. ერიკ ცაბელი (გერმანია, მილრამი) 0.48; 10. მიკელ ასტარლოსა (ესპანეთი, ეუსკალტელ-ეუსკატი) 0.49...

ტომ ბოონენი კვარცხლბეკზე ადის

ლუის სკოლა ჰიუსტონში ითამაშებს

NBA . ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲒᲔᲒᲘ

ᲛᲝᲠᲩᲐ ᲡᲙᲝᲚᲐ, ᲐᲜᲣ ᲩᲔᲮᲐᲡᲘᲓᲐᲜ ᲩᲔᲮᲐᲡᲨᲘ

სამი წელი ეჩალიჩა "სან ანტონიო სპურსი" ესპანურ "ტაუს" არგენტინელ **ლუის სკოლას** გამოსყიდვაზე, მაგრამ კომპრომისი რომ ვერ ნახა, ბევრი არ უფიქრია და 2 წლის წინ, დაზღვევის მიზნით, არჩევანი კიდევ ერთ არგენტინელზე, სკოლას მეგობარ **ფაბრიციო ობერტოზე** შეაჩერა. წლევანდელი საზაფხულო ლიგის მოქმედი ჩემპიონის მთავარი მწვრთნელი **გრეგ პოპოვიჩი** ერთხელაც დაუკავშირდა "ტაუს" და ლუისის სანაცვლოდ 2 მილიონი დოლარი შესთავაზა, რაზეც მორიგი უარი მიიღო. არადა, როგორც იცით, სკოლა "სპურსის" საკუთრებაა, ოღონდ კონტრაქტით ჯერ ისევ ესპანურ კლუბს ეკუთვნის და მისი დაბრუნებაც პრობლემატური ამის გამო იყო.

სკოლა "სპურსში" აღარ ითამაშებს. ამის შესახებ პოპოვიჩმა გუშინ ამერიკელ მასმედიელებს იტალიური კემპიდან განუცხადა, ცოტა ხანში კი "სან ანტონიოსა" და თანაშტატელ "ჰიუსტონ როკეტსს" შორის ტრანსფერიც გაიჩარხა.

"ჰიუსტონმა" "სპურს" ბერძენი უკანახაზელი **ვასილის სპანულისი** მისცა, სანაცვლოდ კი სკოლას აყვანის (ან ხელშეკრულების გამოსყიდვის) უფლება და სათადარიგო ცენტრი **ჯეკი ბატლერი** მიიღო. ამასთან ერთად, ჩემპიონები "ჰიუსტონისგან" 2009 წლის დრაფტის მეორე წრეში სასურველი მოთამაშის აყვანის უფლებასაც მიიღებენ.

შარშან სპანულისს საშინელი რეგულარული ჰქონდა. "როკეტსის" შემადგენლობაში ბერძენმა ახალბედამ მხოლოდ 31 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და საშუალოდ 2.7 ქულა დააგროვა. მას საბერძნეთში დაბრუნება ჰქონდა გადაწყვეტილი, ბოლოს კი "სპურსის" ვარიანტიც გამოჩნდა. რაც შეეხება ბატლერს, პოპოვიჩმა იგი მხოლოდ 11 მატჩში გაიყვანა მოედანზე და მისგან 3.7-ქულიანი ხეირი ნახა.

ცხადია, ამ გაცვლაში მთავარი ფიგურა ისევ და ისევ სკოლაა, რომელიც ნინა სეზონში ესპანეთში რეგულარულის MVP-ედ დაასახელეს. ლუისმა არაჩვეულებრივად ჩაატარა ევროლიგის სეზონიც, სადაც ერთ შეხვედრაში საშუალოდ 15.5 ქულას, 5.9 მოხსნასა და 2.2 შედეგიან გადაცემას უყრიდა თავს. სკოლა **იაო მინთან** და **ტრეისი მაკგრეიდისთან** ერთად ლიგაში ერთ-ერთ უძლიერეს ტრიოს შექმნის.

■ ■ ■

"მაიამი ჰიტმა" "შარლოტ ბობქეთსთან" დაიწყო მოლაპარაკება ფორვარდ **ადამ მორისონის** მომდევნო ორი დრაფტის პირველი წრის არჩევანზე გაცვლის შესახებ.

მორისონმა ბრწყინვალედ დაიწყო შარშანდელი, მისთვის სადებიუტო რეგულარული და პირველი ორი თვის განმავლობაში, საშუალოდ 17 ქულასაც კი აგროვებდა, თუმცა არასტაბილური სროლისა და დაცვაში ძალიან სუსტი გამოსვლის გამო, მან მალევე დაკარგა ადგილი სასტარტო ხუთეულში და მისი სათამაშო დროც საგრძნობლად შემცირდა.

საბოლოოდ, ადამმა მონაწილეობა 78 შეხვედრაში მიიღო და პირველი პროფესიული სეზონი 11.8 ქულით, 3.0 მოხსნითა და 2.1 შედეგიანი გადაცემით დაასრულა. მორისონმა თამაშიდან სროლების მხოლოდ 37 პროცენტი გამოიყენა.

"მორისონი არაჩვეულებრივი მოთამაშეა, რომელიც "ჰიტს" ერთბაშად რამდენიმე ასპექტში გააძლიერებს. მისი სასროლო პროცენტის გაუმჯობესების შემთხვევაში, ყველაფერი მშვენივრად იქნება", - მიაჩნია "მაიამის" მთავარ მწვრთნელს, ლეგენდარულ **პატ რაილის**.

"შარლოტის" წარმომადგენლებს ამასთან დაკავშირებით კომენტარი არ გაუკეთებიათ.

■ ■ ■

"ბობქეთსის" აქციათა ერთ-ერთი მფლობელი, "მისი უჰაერესობა" **მაიკლ ჯორდანი** კი სერიოზულადაა დაინტერესებული "ლეიკერსიდან" **კვამე ბრაუნის** გადაბირებით.

როგორც იცით, თავის დროზე ბრაუნი დრაფტის პირველ ნომრად "ვაშინგტონ უიზარდსმა" აიყვანა, რომლის პრეზიდენტიც სწორედ ჯორდანი გახლდათ.

ბრაუნს ზელიგაში დღემდე ბევრი არაფერი გაუკეთებია, "ბობქეთსის" ბოსებს კი მისი და ძირითადი ცენტრის, **ემეკა ოკაფორის** შეამხანაგება სურთ. არც ისაა გამორიცხული, რომ თუ ჯორდანი კალიფორნიელებს მოურიგდება, "შარლოტმა" სასტარტო ხუთეულში ბრაუნი, ოკაფორი და **ჯერალდ უოლასი** ერთად დააყენოს.

"შარლოტი" "ლეიკერსს" კვამეში კიდევ ერთ ცენტრს, **პრემოჟ ბრეჟეცსა** და მომდევნო დრაფტის პირველ წრეში მოთამაშის აყვანის უფლებას სთავაზობს. ოღონდ, თუ "ბობქეთსი" დრაფტზე პირველ სამეულში შევა, მაშინ ეს უფლება "ლეიკერსს" ჩამოერთმევა და მომდევნო სეზონისთვის გადაიწევს.

კვამე ბრაუნი შარშანდელ რეგულარულში ერთ მატჩში საშუალოდ 8.4 ქულასა და 6.0 მოხსნას აგროვებდა და მაჯის ტრავმის გამო მონაწილეობა მხოლოდ 41 მატჩში მიიღო.

■ ■ ■

ჯერაც გრძელდება მოლაპარაკება "ნიუ ჯერსისა" და თავისუფალ აგენტ **მიკი მურს** შორის. ეს ცენტრალური თავდამსხმელი, რომელიც შარშან საშუალოდ 9.8 ქულასა და 5.1 მოხსნას (კარიერის რეკორდები) აგროვებდა და მისი აგენტი **მარკ ბარტელშტაინი** სამი წლის საფასურად 16 მილიონს ითხოვენ, ხოლო "ნეტსის" პრეზიდენტი **როდ ტორნი** კი მოთამაშეს ამავე დროში 11 მილიონს სთავაზობს.

"თუ შემდგომი ორი კვირის განმავლობაში მისტერ ტორნთან საერთო ენას ვერ გამოვნახავთ, სამწუხაროა, მაგრამ მიკი "ნეტსში" აღარ დაბრუნდება", - განუცხადა მასმედიას ბარტელშტაინმა.

ზურაბ თალაკვაძე

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
თენგიზ გაჩეჩილაძე

ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ
პაატა გელაშვილი

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘ
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კოგა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘ
შალვა ბიგილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუგინიძე
ზურაბ თალაკვაძე

ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲙᲝᲠᲔᲡ�პᲝᲜᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ:
დავით კოხრეიძე, ვასილ გალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ფაყელიშვილი

ᲤᲝᲢᲝ
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
მიხეილ ჯაში

ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კოგა გელაშვილი

ᲙᲝᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიგილაშვილი

ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲮᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), **გივი ვეშაგიძე, ქეთევან დიდგერიძე**

ᲛᲐᲠᲙᲔᲢᲘᲜ�გᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ეგანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელწოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

ᲡᲞᲝᲠᲢᲘ

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ᲚᲔᲚᲝᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ გასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲚᲔᲑᲘ: **შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია**

ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲘ:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘ
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ᵃ,
0159 თბილისი
(დილები, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

ᲒᲐᲛᲝᲛᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔ. ᲒᲐᲠᲓᲐ ᲥᲕᲘᲠᲘᲡᲐ